უცხოთა და ვაიშინაურთა ავმა შეძახილმა „ქართულ ოცნებას“ დემოკრატიის გზიდან არ უნდა გადაახვევინოს!..

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჩმინდა საქმეში, რაგორც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 14 თებერვალი. 2020 წ. №27 (8953) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ჩამშვებ-დამბოლებლებით მოწამლული ქვეყანა

ლობიზმი ძვირად ღირებულია, მაგრამ ღირს მისი მომსახურება

წინა კვირებში კონგრესმენთა მხრიდან ნამდვილი სეტყვა დაატყდა „ქართულ ოცნებას“. დღეს უკვე განწყობა შერბილებულია და კონგრესმენი **ადამ კიზინგერი** საკმაოდ ლოიალურ მესიჯს გზავნის საქართველოში, რომ მათი შეშფოთება არ უნდა იყოს აღქმული, როგორც იმედგაცრუება, ან სიბრაზე საქართველოს ხელისუფლების მიმართ, კონგრესმენებს რომ არ აინტერესებდეთ საქართველო, არც შეწუხდებოდნენ მისი ბედით.

რამ გარდატეხა სიტუაცია და „ქართულ ოცნებას“ შეუძლია თუ არა, თავი დაიმშვიდოს იმით, რომ არჩილ თალაკვაძის სახით უზადო დიპლომატი ჰყოლია? ამის შესახებ ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი** გვესაუბრება.

იხ. 5 გვ.

ევროპელები კრიმინალ გიგი უგულავას საქმის შესასწავლად ჩამოდიან!

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის მამუკა მდინარაძის განცხადებით, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, **რომ გიგი უგულავას დაკავებასთან დაკავშირებით, საქართველოში ევროპარლამენტიდან ფაქტების შემსწავლელი მისია ჩამოვა.** ევროპარლამენტართა მისიის ჩამოსვლის ფაქტმა „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი სატელიტური პარტიები პანიკაში ჩააგდო და ოპოზიციის წევრები ახლა ფაქტის წინაშე დადგნენ, რომ შეიძლება, ფაქტების შემსწავლელმა მისიამ დაადგინოს, რომ სხვა შემთხვევების მსგავსად, ოპოზიცია უგულავასთან დაკავშირებითაც იტყუება.

„ამ ფაქტმა პანიკაში ჩააგდო „ნაციონალური მოძრაობა“ თავისი ყველა სატელიტით. ნახეთ მათი განცხადებები, მათი პათოსი, პანიკური გამოვლინებები, რაც მათ განცხადებებზე აისახა, იმას ნიშნავს, რომ ერთადერთი, რაც „ნაციონალურ მოძრაობასა“ და მის სატელიტებს არ აწყობს, ეს არის ფაქტის დადგენა, რადგან ფაქტები ყოველთვის მათ საწინააღმდეგოდ მოქმედებს.

„რუსთავი-2“-ის შემთხვევის დროს ფაქტები სხვაგან იყო და მათი შეფასებები — სხვაგან, სტრასბურგმა კი თქვა, რომ „რუსთავი-2“-ის მაშინდელი მენეჯმენტი — ნიკა გვარამია, „ნაციონალური მოძრაობა“ და ბათუ ქუთელიები, არასამთავრობო სექტორის ნაწილი იტყუებოდნენ. ამის შემდეგ ეუთო/ოდირის დასკვნა იყო, სადაც თქვეს, რომ ეს ის ადგილი არ არის, სადაც დადგინდება ნორმის კონსტიტუციურობა, რაზეც ასევე იტყუებოდნენ“, — განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

ქუჩაში გამოყრილი პოლიტჭილყვავები და „ანაკლია პორტის“ გარშემო აგორებული ჭორ-მართალი

ვისი „საომარი ლელოა“ ეს საუკუნის პროექტი?!..

ეს გინდოდა, სულელო სამადაშვილო?!

„ბოლოს ვუთხარით, რომ სამადაშვილის ქვეყნიდან ვართ და შეგვიშვეს ევროპარლამენტში“, — ასე პასუხობს დედაქალაქის მერი კახა კალაძე „ნაციონალური მოძრაობის“ წევრს სალომე სამადაშვილს, რომელმაც ფეისბუქის საკუთარ გვერდზე დაწერა, რომ კალაძე და კობახიძე ევროპარლამენტში ლანდებივით დადიან, იმათ იქ არავინ იცნობს! როგორც კალაძემ აღნიშნა, სამადაშვილის სისულელეებზე სერიოზული კომენტარის გაკეთება არ ღირს.

„სამადაშვილის სისულელეები მე მგონი, სერიოზული პასუხის ღირსიც არ არის. ხო, საერთოდ არავინ არ გვიცნობს, არ გვიშვებდნენ, საქართველო საერთოდ არ იციან, სად არის, რა ქვეყანაა და ბოლოს ვუთხარით, რომ სამადაშვილის ქვეყნიდან ვართ... ამის შემდეგ შეგვხვდნენ და შეგვიშვეს ევროპარლამენტში“, — თქვა კახა კალაძემ.

ია მეტრეველი: შევეწირებით, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არასდროს დაბრუნდეს ხელისუფლებაში

2

საქართველო სწრაფად მზარდი ტურისტული ქვეყნების რეიტინგში ვერ მოხვდა!

6

ნაზარბაევის შვილიშვილი თავშესაფარს ითხოვს

11

ოპოზიციას მოვუწოდებთ, მოლაპარაკებების მაგიდასთან დაბრუნდნენ!

ჩვენ და საერთაშორისო პარტნიორები ოპოზიციას მოვუწოდებთ, მოლაპარაკებების მაგიდასთან დაბრუნდნენ, რადგან ეს არის პასუხისმგებლობა საკუთარი ამომრჩევლისა და მოსახლეობის წინაშე, — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ გუშინ განაცხადა.

„თუ თებერვლის ბოლომდე რაღაცაზე შეთანხმება ვერ მოხერხდება, შემდეგ ტექნიკური თვალსაზრისით, რაიმე ცვლილებების განხორციელება გაჭირდება. ოპოზიცია აყირავებს მაგიდას იმ საბაბით, თითქოს, საქმე პოლიტიკურ პატიმრობასთან გვაქვს. ამაზე ვამბობთ,

მისია ჩამოვიდეს და ამბობენ, მისია შესაბამისი ფორმატი არ არის. ჩვენი შეთავაზება 100/50 არის კომპრომისული. მეორე მხრიდან კომპრომისული ვერსია ჯერ არ მოგვისმენია, მოვისმინეთ, კომპრომისი კომპრომისისთვის. ეს იყო იმისთვის მხოლოდ, რომ შექმნილიყო ილუზია თითქოს, ისინი კომპრომისზე მოდიოდნენ და საუბრობდნენ 130/20-ზე. ეს რამდენად სერიოზულია, აღარ გავაგრძელებ. თუ შეთანხმება ვერ შედგება, ბუნებრივია, იძულებითი მოცემულობა იქნება, არჩევნები 77/73 სისტემით ჩავატაროთ და ასეთ შემთხვევაში „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობას გარანტირებულად იგებს, რაც არაფერში გვჭირდება. ამაზე უარს ვამბობთ და კომპრომისულ წინადადებაზე ოპოზიცია არ მოგვყვება“, — განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

მართლმსაჯულება და კონკრეტული საქმეები არასოდეს ელოდება არჩევნებს!

„ოპოზიციის მხრიდან მთავარ არგუმენტად ის კი არ მოვისმინეთ, რომ ვიღაც შესაძლოა, უდანაშაულოდ იჩაგრება, არამედ ის, რომ დანაშაული ჩადენილია, მაგრამ რადგან არჩევნებია, მართლმსაჯულებამ უნდა მოიცადოს“, — ასე ეხმაურება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე ოპონენტების განცხადებებს იმის შესახებ, რომ „ევროპული საქართველოს“ ლიდერის გიგი უგულავასთვის პატიმრობის შეფარდება პოლიტიკურადაა მოტივირებული.

როგორც თალაკვაძემ ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, მართლმსაჯულება ფუნქციონირებს დამოუკიდებლად, ხოლო არჩევნები არის პოლიტიკური პროცესი და არასოდეს მართლმსაჯულება არ ელოდება არჩევნებს.

არჩილ თალაკვაძე საქართველოში აშშ-ის ახალ ელჩს კელი დეგნანს ესაუბრა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე საქართველოში აშშ-ის ახალ ელჩს კელი დეგნანს შეხვდა. შეხვედრა პარლამენტის შენობაში გაიმართა.

როგორც შეხვედრის შემდეგ აშშ-ის ელჩმა ჟურნალისტებს განუცხადა, არჩილ თალაკვაძესთან საუბრით კმაყოფილია. **„ძალიან კონსტრუქციული და პროდუქტიული შეხვედრა მქონდა პარლამენტის თავმჯდომარესთან ვაშინგტონში მის ვიზიტთან დაკავშირებით.**

განვიხილეთ მისი შეხვედრები ვაშინგტონში. მოუთმენლად ველი მასთან მორიგ შეხვედრას“, — აღნიშნა კელი დეგნანმა.

გიორგი გახარია მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაში მიიღებს მონაწილეობას

საქართველოს დელეგაცია, **პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას ხელმძღვანელობით, მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაში მიიღებს მონაწილეობას.**

სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, მთავრობის მეთაური მიუნხენის 56-ე უსაფრთხოების კონფერენციის გახსნით სესიას დაესწრება.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ცნობით, გიორგი გახარია კონფერენციის ფარგლებში მაღალი დონის ორმხრივ შეხვედრებს გამართავს. მიუნხენი უსაფრთხოების 56-ე, ყოველწლიურ კონფერენციას 14-დან 16 თებერვლის ჩათვლით უმასპინძლებს. მიუნხენში 500-ზე მეტ მაღალი დონის საერთაშორისო გადაწყვეტილების მიმღებ პირს ელოდებიან. პოლიტიკური, ბიზნესის, აკადემიური წრეებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები არსებულ კრიზისებსა და მომავალ უსაფრთხოების გამოწვევებზე იმსჯელებენ. განხილვების ერთ-ერთი თემა იქნება, თუ რა არის დასავლეთის ცნება, რას ნიშნავს დასავლეთის პასუხისმგებლობა.

<u>ია მეტრეველი:</u> შევეწირებით, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არასდროს დაბრუნდეს ხელისუფლებაში

„ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდი საქართველოს ისტორიაში შევა როგორც ჯოჯოხეთის წლები“, — ამის შესახებ წინა ხელისუფლების დროს შვილმოკლულმა დედებმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადეს.

მათ საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენეს წინა ხელისუფლების დროს ჩადენილი დანაშაულები და აღნიშნეს, რომ მათი დევიზი იყო „ნულოვანი ტოლერანტობა“, „ესროლე“, „პირდაპირ ციხეში“. ბუტა რობაქიძის დედის თქმით, „ნაციონალური მოძრაობის“ დაბრუნების საფრთხეს ვერ ხედავენ, რადგანაც ხალხი მმართველი ძალის გვერდით არის და ყველას კარგად ახსოვს, თუ როგორი სისასტიკით ექცეოდნენ ისინი მოქალაქეებს.

შვილმოკლული მშობლები გიგი უგულავას საქმესაც გამოეხმაურნენ. მათი თქმით, დედაქალაქის ყოფილი მერი არის თაღლითი და კრიმინალი, შესაბამისად, ოპოზიციის მხრიდან ამ საქმის პოლიტიკურ ჭრილში გადაყვანა დიდი შეცდომაა!

მოკლული გიორგი გამცემლიძის დედა კი ამბობს, რომ „ნაცმოძრაობის“ რეჟიმმა ბევრი ადამიანი გაამწარა და მოვა დრო, როცა ყველა დაისვენებს მათგან. გულიკო გამცემლიძის განცხადებით, რომ არა „ნაციონალური მოძრაობა“, შესაძლებელი იქნებოდა თავისუფალ საქართველოში ცხოვრება.

მელიას ციხეში მიცუნცულებს!

„ქართუ ბანკის“ გაკოტრების საქმეზე პროკურატურა ნიკა მელიას 7 წლით ციხეში გაშვებას ითხოვს. აღსანიშნავია, რომ ამ საქმეზე მელია თბილისის საქალაქო სასამართლომ უკვე გაამართლა და მხოლოდ 25 000-ლარიანი გირაო დააკისრა.

საქალაქო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება პროკურატურამ გაასაჩივრა და პროცესი 10 მარტს ჩაინიშნა. საქმეს სააპელაციო სასამართლოში არა კოლეგია, არამედ ერთპიროვნულად, მოსამართლე ვეფხვია ლომიძე განიხილავს.

„პროკურატურის სარჩელი სააპელაციო სასამართლოში 2019 წლის 30 დეკემბერს შევიდა. სხდომა კი 10 მარტს ჩაინიშნა. საქმეს ერთპიროვნულად მოსამართლე ლომიძე განიხილავს. როგორც წესი, მსგავსი მოცემულობის საქმეს პალატა იხილავს, ამიტომ ჩემთვის უცნაურია რომ საქმეს ერთი მოსამართლე იხილავს. ჩვენ ვითხოვთ, რომ ნიკანორ მელია იმ ბრალდებაშიც გამართლდეს, რომელზეც თბილისის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ ცნო. ჩვენი სურვილი ეს არის, თუმცა ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, აღარ ვიცი, რას უნდა ველოდო. იმ ნაწილშიც კი რაშიც დამნაშავედ ცნეს, მელიას საკმარისი მტკიცებულებები არ არსებობობს“, —

განუცხადა საგენტო „ნიუპოსტს“ ადვოკატმა გიორგი მდინარაძემ.

შეგახსენებთ, ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთ ლიდერს ნიკა მელიას სადეპუტატო უფლებამოსილება 12 დეკემბერს შეუწყდა. აღნიშნულის მიზეზი “ბანკი ქართუს“ ხელოვნურად გაკოტრების ბრალდების საქმეზე ნიკა მელიას მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დადგომა გახდა. შვიდი წლის წინ აღძრულ „ქართუ ბანკის“ გაკოტრების საქმეზე დეპუტატ ნიკა მელიას სასამართლომ 25 000-ლარიანი ჯარიმა დააკისრა და 3 წლით თანამდებობის დაკავების უფლება აუკრძალა.

ღია მმართველობის საკითხებზე მთავრობის სათათბირო ორგანო შეიქმნა

მთავრობის გადაწყვეტილებით, ღია მმართველობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო შეიქმნა. მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, მაღალი რანგის სათათბირო ორგანოს წევრები იქნებიან მინისტრის მოადგილეები და პროცესში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

მათივე ინფორმაციით, საბჭოს საქმიანობაში მონაწილეობას მიიღებენ საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები, საერთაშორისო ორგანიზაციები და დაინტერესებული მუნიციპალური ორგანოები. ღია მმართველობის პროცესს 2013-2019 წლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უძღვებოდა. ამ პერიოდში არაერთი ხელშესახები შედეგი იქნა მიღწეული, მათ შორის, საქართველო OGP-ის თავმჯდომარე ქვეყანა გახდა 2017-2018 წლებში და პარტნიორობის მეხუთე გლობალურ სამიტს საქართველოში უმასპინძლა.

პროცესის კოორდინაციას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე 2019 წლის აპრილიდან საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია ახორციელებს. ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით შეიქმნა მაღალი რანგის სათათბირო ორგანო, რომლის ფარგლებში სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს ექნებათ შესაძლებლობა, ღია მმართველობასთან დაკავშირებული მათთვის საინტერესო საკითხების ადვოკატირება უშუალოდ გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან გაწიონ.

ღია მმართველობის ახალი საკოორდინაციო მოდელის ჩამოყალიბების პროცესში ადმინისტრაციამ აქტიურად ითანამშრომლა „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (Open Government Partnership — OGP) საერთაშორისო სამდივნოსთან.

ახლად შექმნილი საბჭოს დებულების მიხედვით: ნათლად ყალიბდება ღია მმართველობის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების წესი, რომლის თანახმად, თანაბარი უფლებები ენიჭებათ სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს; საბჭოს ხელმძღვანელობის უფლებამოსილება ორ თანამომხსენებელს შორის ნაწილდება, რომელთაგან ერთი სახელმწიფო უწყებების, ხოლო მეორე — არასამთავრობო სექტორის მხრიდან იქნება წარდგენილი; საბჭოს ანგარიშვალდებულება საქართველოს მთავრობის წინაშე განისაზღვრება; სახელმწიფო უწყებებს ეკისრებათ ვალდებულება, ღია მმართველობის დღის წესრიგის შედგენის პროცესში დასაბუთებული არგუმენტაციით უპასუხონ სამოქალაქო სექტორის რეკომენდაციებს.

კარგა ხნის ლოდინის შემდეგ, ახსენა თუ არა ეკონომიკის სამინისტრომ „ანაკლია პორტის“ მშენებლობაზე ახალი ტენდერის გამოცხადების შესახებ, მყისვე აიშალა სასტვენიანი და მეგაფონიანი პოლიტჭილყვავი!

„ტვპირველმაც“ უმალ უხმო „ანაკლია პორტის“ ათასწლეულის პროექტის პატივამყრელს და ჩამძირველ თაღლით ბანკირ ხაზარაძეს, რომელმაც, „ანაკლია პორტის“ პროექტის, ე.წ. ტენდერის საუძველზე, საჩუქრად მიღების დღიდან (05.02.2016), 2020 წლის თებერვლამდე, ვერავინ აცდუნა, პორტის მშენებლობა დაეფინანსებინა, „ტვპირველის“ კამერის წინ უტიფრად აცხადებს: **„არანაირი ტენდერი არ არის საჭირო, „ანაკლია პორტს“ დამფინანსებელი სპონსორებიც ჰყვანან და დაფინანსება დიდი ხნის დაწყებულიაო!“**

„ტევეპირველმა“, ხაზარაძის ნათქვამს ყოვლისმცოდნე „ჭიაბერ-მოკლეც“ მიაშველა. ამ უკანასკნელმაც უშურველად აფრქვია სიყალბე და უაზრობა „ანაკლია პორტის“ გარშემო. ბუნებრივია, ახალი

ვისი „საომარი ლელოა“ ეს საუკუნის პროექტი?!..

ქუჩაში გამოყრილი პოლიტჭილყვავები და „ანაკლია პორტის“ გარშემო აგორებული ჭორ-მართალი

ტენდერის გამოცხადების მიზეზად ჩინურ-რუსული კაპიტალის და თავისი ჭკუით, რუსეთის მიზნები ამხილა!

სანამ მკითხველს კიდევ ერთხელ ავუხელდე თვალს, რა ხდება სინამდვილეში „ანაკლია პორტის“ გარშემო, ქართულ ტელესივრცეში პოპულარულ „ტვეპირველს“ მინდა, ვკითხო:

„ანაკლია პორტის“ ახალ ტენდერზე გადაცემის მომზადებას თუ აპირებდით, რატომ არ გაგახსენდათ „ანაკლია პორტის ეკოლოგიური მონიტორინგის ჯგუფი?“

შარშან, სანამ ბოლომდე გაცხადდებოდა, ხაზარაძე და მისი ქართველ-ამერიკელი თაღლითების აფერა, ერთი თვე დაგყავდით მე და ბატონი **ნოდარ წივწივაძე** თქვენს სტუდიაში „ანაკლია პორტზე“ გადაცემის მოსამზადებლად, საცდელი ვიდეოჩანაწერიც გააკეთეთ და მეოთხე მისვლაზე განგვიცხადეთ: **„მეორე მხარე ვერ დავითანხმეთ დებატებზე და მარტო ხომ არ გალაპარაკებთო?!“**

ნამდვილი მიზეზი ჩვენთვის ცხადი იყო: **ჩვენ რომ საქვეყნოდ ვამხელდით, ე.წ. „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“, რომელიც ტენდერის მოგებამდე ერთი წლით ადრე სახელდახელოდ შეიქმნა ხუთ მილიარდ დოლარად შეფასებული პროექტის მოსაგებად და იმ მიზეზებზეც ტელეეკრანიდან ვისაუბრებდით, რატომ ვერ იშოვეს ოთხი წლის მანძილზე მართლაც უნიკალური პროექტის დამფინანსებელი ზემოხსენებული ე.წ. „კონსორციუმის“ ქართველმა და ამერიკელმა თავკაცებმა, ბუნებრივია, ტელევიზიის მესვეურთ არ მოეწონებოდათ.**

მოკლედ, მას შემდეგ, რაც ქვეყნის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა **გიორგი კვირიკაშვილმა** და ეკონომიკის მინისტრმა **ქუმსიშვილმა** „ანაკლია პორტის“ პროექტი, ჩვენდა გასაკვირად, საჩუქრად „ხაზარაძე და კონტი ჯგუფს“ ჩაახუტეს, ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ინვესტორების რიგი დაუდგებოდათ!

საქვეყნო საქმისადმი ასეთმა ზერელე დამოკიდებულებამ ჩვენ, **„ანაკლია პორტის მონიტორინგის ჯგუფს“, გაგვიჩინა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ქართული ეკონომიკის გადარჩენის ერთადერთი იმედი – „ანაკლია პორტი“ არაჯეროვანი ადამიანების ხელში მოექცა.**

აქედან გამომდინარე, ტენდერის „გამარჯვებულის“ გამოცხადებიდან ორი კვირის თავზე **„საერთო გაზეთში“** (20.02.2016) გამოვაქვეყნე სტატია სათაურით: „რატომ გამოცხადდა **„ანაკლია პორტის“** ტენდერის გამარჯვებულად კონსორციუმი, რომელიც სატენდერო მოთხოვნის ვერცერთ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს?!“

„საერთო გაზეთის“ ამ ნომრის პედეეფი მაშინვე გადაეგზავნა პრემიერ-მინისტრს, ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის, ფინანსთა სამინისტროებს და „ქართული ოცნების“ სათავო ოფისს.

სამწუხაროდ, ჩვენი განგაშის ხმა ყურად არავინ არ იღო, პირიქით, „ანაკლია პორტთან“ მიმართებაში პოზიცია+ოპოზიციამ პირი შეკრა, ყურები დაიხშო და თვალები დაიბრმავა, რომ საჭირო შემთხვევაში ხატზე (მართალია, მათ ხატის და ჯვრის არაფერი სწამთ) დაეფიცა, რომ მას არაფერი გაუგია და არაფერი უნახავს!

არადა, იმ სტატიაში დეტალურად იყო ახსნილი, თუ რატომ ვერ ასრულებდა ქვეყნის მთავრობის მიერ ლობირებული ე.წ. „კონსორციუმი“ ტენდერის მოთხოვნებს!

არაერთხელ დამიწერია და მითქვამს იმ სამწუხარო სტერეოტიპზე, მედიასივრცეში რომ დამკვიდრდა: **თუ რამე მნიშვნელოვანი ამბავი ხდება ქვეყანაში, ე.წ. ჟურნალისტები იმწუთშივე პარლამენტარებს ან სამთავრობო ჩინოვნიკებს მიახტებიან – აბა, ერთი გადმოაფრქვიეთ თქვენი სიბრძნეო!**

არაიშვიათად ისინიც, პატივცემული და აღმატებული რესპონდენტები, იწყებენ ისეთი სისულელეების გადმოლაგებას, ყურში რომ არ შეიშვება!

„ანაკლია პორტის“ შემთხვევაში ათიდან ცხრა შემთხვევაში ასე იყო. იგივე მდგომარეობაა ჟურნალისტების მხრიდან, არ მახსოვს, რომელიმე მათგანს ხაზარაძის, ან მისი გუნდის წევრებისთვის ეკითხოს:

1. კი მაგრამ, ინვესტორები და პორტის მშენებლობის დაფინანსების გარანტია ტენდერში მონაწილეობის განაცხადთან ერთად უნდა წარგედგინათ სატენდერო კომისიისთვის და ახლა რატომ დაეძებთო?

2. რა შუაშია ქვეყნის მთავრობა კერძო კომპანიასთან, რომელმაც ტენდერი მოიგო, რატომ უნდა მისცეს მას სახელმწიფომ ფინანსების მოზიდვისა და ტვირთების უზრუნველყოფის გარანტია?

3. ქვეყანაში არსებობს კანონი სახელმწიფო ტენდერის შესახებ, რომლის დაცვა უმკაცრესად კონტროლდება სათანადო უწყების მხრიდან, რატომ აღმოჩნდა ხაზარაძე და მისი კონსორციუმი გამონაკლისი, რატომ არ აჯარიმებს მას ტენდერის პირობების თანახმად 80 მილიონი დოლარით, რომელიც ხაზარაძის ინიციატივით იქნა დადგენილი, ტენდერში გამარჯვებულის მხრიდან ტენდერის პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში?

ამ კითხვებთან ერთად, მკითხველისთვის საყურადღებო იქნება გარკვევა:

– რატომ ვერ შეძლეს მამუკა ხაზარაძემ და მისმა ამერიკელმა პარტნიორმა კურტ კონტიმ ფულიანი ინვესტორის პოვნა?

– რატომ შეარჩიეს სატენდერო კომისიამ და სპეციალურად მოწვეულმა ძვირადღირებულმა გერმანელმა ექსპერტებმა ტენდერში მონაწილე 12 მსურველისგან ტენდერის დამთავრებამდე ერთი წლით ადრე, სახელდახელოდ შექმნილი, პორტის მშენებლობაზე წარმოდგენის არმქონე და, რაც მთავარია, უფულო კონსორციუმი?

2013 წლის თებერვალში გამოვთქვი ეჭვი, ანაკლიაში აშშ-ის სამხედრო ბაზის მშენებლობის შესახებ, რაც ჩემი მოგონილი არ იყო. რამდენჯერმე ვახსენე შემდგომში ეს შემთხვევა და აქ არ მივიჩნევ საჭიროდ მის განმეორებას.

ერთს ვიტყვი მხოლოდ: **სამწუხაროდ, ჩემი ეჭვი გამართლდა, მას შემდეგ, რაც შარშან აშშ-ის მაღალი ჩინის ოფიცრებმა და ბოლოს კი სახელმწიფო მდივანმა პომპეომ არაერთხელ განაცხადეს, რომ:**

„ანაკლია პორტი“ მათთვის საინტერესოა ნატოს ჯარებისთვის სამხედრო დანიშნულებისთვის!

დაიჯერებთ, რომ გითხრათ, მარტო მე ვიცოდი ანაკლიაში მშენებარე პორტის საიდუმლო დანიშნულების შესახებ?!

– რომელი ჭკუათამყოფელი ინვესტორი ჩადებს ფულს სამხედრო ბაზის მშენებლობაში, ვისიც არ უნდა იყოს იგი?

ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, თუ რატომ ვერ მოიზიდეს ფულიანი ინვესტორი ხაზარაძემ და მისმა კონსორციუმმა. სხვა საკითხია მათი კომპეტენცია პორტის მშენებლობაში!

„ანაკლია პორტის“ გასაიდუმლოებული დანიშნულების შესახებ, უეჭველია, კვირიკაშვილმა, ქუმსიშვილმა და ხაზარაძემ კარგად იცოდნენ. აქ ისმის კითხვა: **– რატომ წავიდა ეს ტრიო სახელმწიფო დონის ავანტიურაზე?**

ადრეც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, პასუხი ამ კითხვაზე ჟურნალისტური გამოძიების კომპეტენციას სცილდება, იგი სხვა უწყებამ უნდა შეისწავლოს!

დავუბრუნდეთ კანონს „ტენდერის შესახებ“, მე მის განხილვას არ ვაპირებ, ერთს ვიტყვი მხოლოდ: საყოველთაოდ ცნობილია, ტენდერის პირობების დარღვევის შემთხვევაში გამარჯვებული იხსნება ტენდერიდან და იგი შავ სიაში შეჰყავთ, რაც მას მომავალში ტენდერებში მონაწილეობას უკრძალავს!

– რის საფუველზე აცხადებს ხაზარაძე პრეტენზიას ანაკლიაში უკან მიბრუნებაზე?

არც მისი ანაკლიიდან გაძევება გაგვხარებია ანაკლიელებს, ვინ უნდა მოუაროს ზღვის ფსკერიდან საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი, რვა მეტრის სიმაღლეზე, 100 ჰექტარზე დაზვინულ სიბინძურეს?!

ახალი ტენდერის გამოცხადებამდე, სპეციალურმა კომისიამ და ქვეყნის მთავრობამ უნდა გადაწყვიტოს ეს საკითხი.

ამ მიმართულებით სერიოზული სამუშაო აქვს ჩატარებული **„ანაკლია პორტის მონიტორინგის ჯგუფს“**.

უეჭველია, ხაზარაძის კონსორციუმის მიერ შერჩეული პორტის ასაშენებელი ადგილი „სამხედრო საზღვაო ბაზისთვის“ იყო გათვალისწინებული და იგი საგანგებოდ იყო დამიზნებული მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიას, რომ მისი ამუშავების შემთხვევაში, აუტანელი ხმაურისა და სხვა საცხოვრებლად მიუღებელი პირობების გამო მოსახლეობა იძულებული გამხდარიყო, საკუთარი ნებით გასცლოდა იქაურობას!

საქართველოს მთავრობამ უნდა გაიხსენოს, რომ 2013 წელს იაპონურ კომპანიას 5 მილიონი დოლარი რომ გადაუხადა ზღვის ნაპირის შესწავლისა და „ანაკლია პორტისთვის“ შესაბამისი ადგილის შერჩევისთვის. იგი ხაზარაძის კონსორციუმის მიერ შერჩეული (ზუსტად იმეორებს ლაზიკა პორტს) ადგილიდან 2 კილომეტრის დაშორებით იყო მონიშნული, სამხრეთით, ფოთის მიმართულებით!

თუ მართლა სამრეწველო-სავაჭრო პორტის აშენებაა დაგეგმილი, მაშინ ყველა მონაწილის მიერ შემოთავაზებული, თუნდაც წინასაპროექტო მოსაზრების გასაჯაროება უნდა მოხდეს, რომ ხელმეორედ სამარცხვინო მდგომარეობაში არ აღმოჩნდეს ქვეყანა, კვირიკაშვილ-ქუმსიშვილ-ხაზარაძის ბლეფმა რომ ავტორიტეტი შეურყია!

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, ზემოხსენებულთა მიერ სახელგატეხილი **„ანაკლია პორტისკენ“** ურთულესი შემოსაბრუნებელია ის კომპანიები, რომლებიც მზად იყვნენ კონსორციუმ **„ანაკლია პორტი და ეკო პარკის“** დროშის ქვეშ ბატონი თეიმურაზ ქარჩავას ხელმძღვანელობით გაერთიანებულიყვნენ.

მათ შორის საგანგებოდ გამოვყოფდი ჩინურ სახელმწიფო გიგანტ კორპორაციას **„ფაუერ ჩაინას“**.

თუ რა მნიშვნელობა აქვს მის ყოფნას **„ანაკლია პორტის“** პროექტში, გავეცნოთ 2014 წელს ლიხტენშტეინის დედაქალაქ ვადუცში **„ანაკლია პორტის“** მშენებლობის პერსპექტივებზე საუბრისას საბანკო ექსპერტთა მიერ გაკეთებულ დასკვნას, რომელიც კონსორციუმ **„ანაკლია პორტი და ეკო პარკის“პროექტის** განხილვას მოჰყვა: **„– ბატონებო, ათი წლის წინათ ევროპაში ვინმეს რომ შავ ზღვაზე, ანაკლიაში (საქართველო) მეგაპორტის აშენების საკითხი გამოეტანა სადისკუსიოდ, მას სიბრალულით შევხედავდით. უნდა მოგახსენოთ, მსგავსი პროექტების მომზადებას წლები სჭირდება. ყველასათვის ცნობილია, რომ დიდი პროექტის განხორციელება კი არ არის პრობლემა, არც მისი დაფინანსების წყაროების მოპოვებაა რთული საქმე!**

– რთული და ძნელად მისაღწევი პროექტის დასრულების შემდგომ მისი მუშაობაა. ამ შემთხვევაში იშვიათი ფინანსური და ლოჯისტიკური მოდელია ერთმანეთთან მორგებული, სადაც ინვესტორი დამთავრებული პროექტის მომხმარებელი და ხანგრძლივი მოქმედების გარანტი ხდება.

– ეს გახლავთ ჩინეთის სახელმწიფო!

– არ დაგვავიწყდეს, რომ ევროპაში გაყიდული პროდუქციის ნახევარზე მეტი ჩინეთშია წარმოებული და მისი მომხმარებლამდე სწრაფად მიტანა უზარმაზარი მოგების გარანტიაა. ამ მხრივ, „ანაკლია პორტი“ და „ახალი აბრეშუმის გზა“ იშვიათი შეთავაზებაა როგორც ჩინელი მეწარმეებისთვის, ასევე ევროპელი მომხმარებლისთვის!

იქვე ისიც ითქვა: **„საქართველო დიდი ხანია, თავდაუზოგავად იბრძვის ნატოში და ევროგაერთიანებაში შესასვლელად. ჩვენთვის გასაგებია მათი ლტოლვის მიზანი. მათ მიაჩნიათ, რომ ეს გზა ზოგიერთი აგრესორი მეზობლის შესაკავებელი ერთადერთი და სწორი გზაა. სამწუხაროდ, ეს რომ ასე არ არის, მრავალგზის დადასტურდა.**

ცნობილია, რომ მსხვილი ინვესტიციები, უმეტეს შემთხვევაში, არა მარტო ეკონომიკური კეთილდღეობის, არამედ მშვიდობის გარანტიაა მასპინძელი ქვეყნისთვის. იგი საქართველოს მაგალითზე შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ: ჩინელები თუ 5.5 მილიარდ დოლარს „ანაკლია პორტის“ პროექტში ჩადებენ, ვერცერთი აგრესორი იქ უბოდიშოდ ფეხს ვერ შეადგამს და საქართველოს ნატოსკენ და ევროგაერთიანებისკენ თავდაუზოგავ (სამწუხაროდ, ნაკლებპერსპექტიულ) ლტოლვასაც გაანელებს.“

უფრო გახსნილად თუ ვიტყვით: **ჩინეთი ერთადერთი ქვეყანაა დედამიწის ზურგზე, რომელსაც ვერავინ უბოდიშოდ ბუზს ვერ აუფრენს. ჩინელებს რომ 5.5. მილიარდი დოლარი „ანაკლია პორტის“ პროექტში ჩაედოთ, ვერც რუსეთი და ვერც აშშ უბოდიშოდ ფეხს ვერ შემოადგამდნენ იმ რეგიონში და იგი ვერასოდეს გახდებოდა მათი „საომარი ლელო“!**

აქ კი, როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია!

დავით ქოგალია
(598-708-600)

გაცვლის თუ არა თურქეთი საქართველოს ნატოში გაწევრების მხარდაჭერას რუსეთთან პრაგმატული ურთიერთობის გასაუმჯობესებლად? ასევე, ამერიკის კონგრესში ქვეყნის მეგობრები აცხადებენ, რომ საქართველოს მთავრობამ დემოკრატიული რეფორმების გატარება სერიოზულად უნდა აღიქვას. როგორც წარმომადგენელთა პალატიდან, ასევე სენატის გავლენიანი საგარეო საქმეთა კომიტეტიდან, პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას რამდენიმე წერილი გაუგზავნეს, რომლებშიც საქართველოში დემოკრატიულ უკუსვლაზე საუბრობდნენ. რა უნდა გააკეთოს თბილისმა ვაშინგტონის მხარდაჭერის შესანარჩუნებლად და რა არის არსებული მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალი? ამ და სხვა კითხვებით ამერიკის ომის კოლეჯის პროფესორს, არმიის გადამდგარ პოლკოვნიკ რობერტ ჰამილტონს „ამერიკის ხმის“ ჟურნალისტმა მიმართა.

რობერტ ჰამილტონი:

ყველაზე ცუდი სცენარი აშშ-ის მხრიდან საქართველოს ნატოში გაწევრების მხარდაჭერის შეწყვეტა იქნება!..

— ბატონო რობერტ, ცოტა ხნის წინათ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუთ ჩავუსოლლუმ დავოსში ერთ-ერთი შეხვედრის დროს, სასიამოვნოდ მოულოდნელი საჯარო განცხადება გააკეთა. მან თქვა, რომ დასავლეთმა საქართველო ნატოში უნდა მიიწვიოს და რომ რუსეთის გაღიზიანებაზე არ უნდა იფიქროს. რას ნიშნავს ეს განცხადება?

— განცხადების დრო საინტერესოა. ნატოსა და თურქეთს შორის ბოლო წელიწად-ნახევარში განვითარებული მოვლენები, იმ კითხვასაც კი აჩენდა ზოგჯერ, დარჩება თუ არა თავად თურქეთი ნატოში. თურქეთის ეს პოზიცია თანმიმდევრულია, რადგან წლების მანძილზე ის ნატოს გაფართოებას და ალიანსში საქართველოს გაწევრიანებას მხარს აქტიურად უჭერდა და აცხადებდა, რომ საქართველოს ადგილი ნატოშია. დროს რაც შეეხება, ვფიქრობ, თურქეთი ცდილობს, დაბალანსოს საკუთარი ურთიერთობა ნატოსთან და რუსეთთან და პრაგმატული ურთიერთობა შეინარჩუნოს ორივესთან. ეს განცხადება, შესაძლოა, ნატოს მოკავშირეებისთვის იმის ხელახალი დადასტურებაა, რომ თურქეთი არა მხოლოდ რჩება ნატოს აქტიურ წევრად, არამედ მისი გაფართოების მომხრეა.

— ეს საინტერესო მოსაზრებაა. თუმცა, არსებობს საწინააღმდეგო აზრიც, რომ თურქეთს შესაძლოა, სურდეს რუსეთთან პოლიტიკური ვაჭრობის დამატებითი საკითხი ჰქონდეს და საქართველოს ნატოში გაწევრიანება თემად მაშინ წამოწიოს, როცა რუსეთისგან რამის მიღება მოუნდება. ამაზე რას ფიქრობთ, ეს შეთქმულების თეორიაა, თუ აქვს რამე საფუძველი?

— პატარა ქვეყნებმა, რომლებსაც დიდი მეზობლები ჰყავს, ყოველთვის უნდა გაითვალისწინონ, რომ შეიძლება ვინმემ სავაჭრო თემად გამოიყენოს. ამ შემთხვევაში, მე არ ვიფიქრებდი იმას, გაყიდის თუ არა თურქეთი საქართველოს ნატოში წევრობას რუსეთისგან რაღაცის მისაღებად. ვფიქრობ, რომ თურქეთი ნამდვილად ფიქრობს იმაზე, რომ რუსეთთან პრაგმატული ურთიერთობა ჰქონდეს, განსაკუთრებით სირიასთან მიმართებაში, სადაც მათი ინტერესები ყველაფერში არ ემთხვევა. ამასთან, არ მგონია, თურქეთის მიერ საქართველოს ნატოში გაწევრიანების მხარდაჭერის უკან წაღებამ საქართველოსთვის პრაქტიკული შედეგი მოიტანოს, რადგან ეს მხოლოდ თურქეთზე არაა დამოკიდებული.

თურქეთს საკუთარი მიზნები ამოძრავებს, როცა საქართველოს ნატოში გაწევრიანებას მხარს უჭერს. თურქეთს სჯერა, რომ სამხრეთ კავკასია უფრო სტაბილური იქნება, თუ საქართველო ნატოში გაწევრიანდა. თურქეთს კი სამხრეთ კავკასიაში სტაბილურობა სურს და მისთვის უკეთესი იქნება, თუ აღმოსავლეთით ნატოს ბოლო წევრი თვითონ არ იქნება.

— თქვენ სამხედრო მოსამსახურე იყავით. მოდით, ახლა ნატოში გაწევრიანების სამხედრო ასპექტზე ვისაუბროთ. დემოკრატიის თემას ცოტა მოგვიანებით დავუბრუნდებით. რამდენად დაცვადია საქართველო სამხედრო თვალსაზრისით? დახმარების აღმოჩენის სურვილის შემთხვევაში, რამდენად სწრაფად შეუძლია ალიანსს საქართველოს სამხედრო დახმარება აღმოუჩინოს? შესაძლებელია თუ არა ამ ქვეყნის დაცვა — ხომ არ არის ეს დისკუსია, რომელსაც მოკავშირეები ითვალისწინებენ?

— ახლა 29 და მალე 30 წევრიდან, ცალკე აღებული ნატოს არც ერთი მოკავშირე, გარდა შეერთებული შტატებისა, რუსეთისგან სრულად დაცული არ არის. სწორედ ესაა კოლექტიური თავდაცვის არსიც. ერთად დამდგარ 30 ქვეყანას შეეძლება ისეთი საფრთხისთვის თავის გართმევა, როგორიც რუსეთია. თავის დროზე, ბალტიისპირეთის ქვეყნებზეც ამას ამბობდნენ, რომ მათი დაცვა სამხედრო თვალსაზრისით შეუძლებელი იქნებოდა. მაგრამ 2004 წელს მათი ალიანსში მიწვევით, ეს შეხედულება შეიცვალა. მოგვიანებით, ნატოს გაფართოების ამ ტალღას დასავლეთის ყველაზე წარმატებულ საგარეო პოლიტიკის ნაბიჯადაც კი ვაფასებდით. მნიშვნელოვანია იმის გამეორება, რომ ნატოს არც ერთ წევრს არ შეუძლია რუსეთის წინააღმდეგ თავი დამოუკიდებლად დაიცვას.

საქართველოსთვის მნიშვნელოვანია თურქეთი ნატოს წევრად დარჩეს. თუ თურქეთმა ალიანსი დატოვა, საქართველოს ნატოში გაწევრიანების არანაირი პერსპექტივა არ ექნება, რადგან ნატოსთვის ის მოწყვეტილი ტერიტორია იქნება.

— ამ მხრივ ახლაც კი რთულადაა საქმე. არც ახლა ვართ ნატოსთან ახლოს.

— დიახ, ახლაც ასეა, მაგრამ მერე საქართველო კუნძულივით მოშორებული იქნება. სამხედრო თვალსაზრისით საქართველოს დაცვა არაფრით განსხვავდება ლატვიის, ლიეტუვის და ესტონეთის დაცვისგან.

— ეს შესანიშნავია! არა სამხედრო პირებისგან, არამედ პოლიტიკაზე მომუშავე ადამიანებისგან ხშირად ისმის ის, რომ ეს რთული საქმეა. მომისმენია კითხვები რომ... რამდენი დღე დაგვჭირდება საქართველოში დასახმარებლად რომ ჩავიდეთ — 3, 5, მეტი? რა მოხდება საქართველოში ამ დროის მანძილზე, ხომ არ შევხვდებით რუსულ ჯარს თბილისში? თქვენი მოსაზრება იმედის მომცემია.

— საქართველოს ზოგიერთი ისეთი უპირატესობა აქვს, რაც ბალტიისპირეთის ქვეყნებს არ აქვს. მაგალითად, ლანდშაფტი, რომელიც სამხედრო თვალსაზრისით მოწინააღმდეგისთვის გამოწვევების შემქმნელია, ნატოს წევრი თურქეთის მხრიდან კი ადვილი მისადგომია. ბალტიისპირეთს ეს არა აქვს. სამივე ქვეყანას ნატოსთან სუვალკის დერეფანი აკავშირებს, რომელიც კალინინგრადსა და ბელარუსს შორის ძალიან ვიწრო დერეფანია. ვიტყოდი, რომ ნატოს არც ერთ პატარა წევრს რუსეთთან კონფლიქტის შემთხვევაში, დამოუკიდებლად თავის დაცვის შესაძლებლობა არა აქვს. ნატო, რეგიონში შეიარაღების და ძალების განლაგების სტრუქტურიდან გამომდინარე, ლატვიაში, ლიეტუვაში, ესტონეთსა თუ საქართველოში — თუ ის ნატოს წევრი გახდა — მოულოდნელ იერიშს ალბათ ვერ მოიგერიებს, მაგრამ ძალების მობილიზების შემდეგ, გადავა კონტრშეტევაზე და რუსულ ჯარს უკან დაახევინებს. საბოლოო ჯამში, სამხედრო თვალსაზრისით, ყველა ქვეყნის დაცვა შეიძლება, თუ ნატოს ამისთვის პოლიტიკური ნება ექნება.

— დღეს არსებობს ეს პოლიტიკური ნება? ყოველ სამიტზე ისმის გამამხნევებელი განცხადებები, რომლებიც 2008 წლის ბუქარესტის სამიტის დეკლარაციას ერთგულებას უცხადებს. საქართველო ნატოს ნამდვილად უახლოვდება. დაიწყო რამდენიმე ახალი და მნიშვნელოვანი ინიციატივა, გაიხსნა ნატოს ცენტრი და ასე შემდეგ. თქვენ ევროპაში ხშირად ხვდებით მოკავშირეებს. როგორ ფიქრობთ, ნატოში დღეს საქართველოს გაწევრების მიმართ პოლიტიკური ნება არსებობს?

— საქართველოს ნატოში გაწევრება ამ ეტაპზე არა სამხედრო, არამედ პოლიტიკური თემაა. საქართველომ ნატოში გასაწევრიანებლად ყველა მოთხოვნილება დააკმაყოფილა და ქართული ჯარი დღითი დღე იხვეწება. ჯარი აგრძელებს იმაზე ფიქრს, თუ როგორ დაიცვას საკუთარი თავი დამოუკიდებლად. როცა საქართველოში ჩავდივარ ხოლმე, სამხედრო გამძლეობაზე უფრო მეტი საუბარი მესმის, ვიდრე მეხუთე მუხლის კოლექტიურ თავდაცვაზე. საქართველოს მთავრობამ, ვფიქრობ, კარგად გაიგო ის, რომ იმისთვის, საქართველო ნატოს წევრი გახდეს, ყველაფერი უნდა გააკეთოს საკუთარი თავდაცვის უზრუნველსაყოფად და რუსული თავდასხმის წინააღმდეგ გამძლეობა შეიმუშაოს. ამისთვის კი ყოვლისმომცველი მიდგომაა საჭირო, რაშიც არა მხოლოდ სამხედრო გამძლეობა, არამედ საინფორმაციო, ეკონომიკური, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ყველა რესურსის გამოყენება შედის.

— რამდენად მნიშვნელოვანია ამერიკის მხარდაჭერა საქართველოს ნატოში გაწევრებისთვის?

— ვიტყოდი, ეს მნიშვნელოვანი, მაგრამ არასაკმარისია. ამერიკის მხარდაჭერა კითხვის ნიშნის ქვეშ არასდროს დამდგარა. 2008 წლის აპრილში, ბუქარესტის სამიტის დროს, მე თბილისში, ამერიკის საელჩოში ვმუშაობდი. მაშინ იმის გამო, რომ ალიანსმა საქართველოს სამოქმედო გეგმა არ მისცა, მაგრამ თქვა, რომ საქართველო და უკრაინა ნატოს წევრები ერთ დღეს გახდებოდნენ, ჩვენ როგორც ჯარში ასევე პოლიტიკურ წრეებში, იმედგაცრუებული დავრჩით. ამერიკის მხარდაჭერა აუცილებელია. თუ შეერთებულმა შტატებმა ეს თანადგომა უკან წაიღო, არ მგონია, საქართველოს ნატოში გაწევრიანების რაიმე შანსი ჰქონდეს. თუმცა, ეს მხარდაჭერა საკმარისი არ აღმოჩნდა იმისთვის, რომ მათი დაყოლიება მომხდარიყო, ვინც საქართველოს სკეპტიკურად უყურებს და რუსეთის რეაქციის გამო ფრთხილობს.

— ანუ, ვაშინგტონი დღეს საქართველოს ნატოში გაწევრიანებას მხარს უჭერს?

— ჩემი აზრით, კი. დახმარების ოდენობას რომ შევხედოთ, იქნება ეს სამხედრო თუ არასამხედრო, თანხა თითქმის ყოველ წელს იზრდება. სამხედრო დახმარება თუ არ ვცდები, 40 მილიონია, არასამხედრო კი, დაახლოებით, 80 მილიონი. ამერიკას ხშირად აკრიტიკებენ დახმარების ერთგვარი მილიტარიზაციის გამო და ამბობენ, რომ დახმარების აღმოჩენის შემთხვევაში ქვეყანას, ძირითადად, თავდაცვის დეპარტამენტი ეხმარება. მაგრამ საქართველოს შემთხვევაში, ამაში ამერიკის მთავრობა მთლიანადაა ჩართული. სახელმწიფო დეპარტამენტს და USAID-ს ევრაზიის რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე ბევრი პროგრამა საქართველოში აქვს. ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის გრანტის ერთ-ერთი პირველი მიმღები საქართველო იყო. ეს დახმარება უკვე წლების მანძილზე გრძელდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ადმინისტრაციასა და კონგრესში საქართველოს მიმართ ძლიერი მხარდაჭერა არსებობს.

— რა არის ყველაზე ცუდი სცენარი, რაც შეიძლება განვითარდეს? ვთქვათ, სიტუაცია არ შეიცვალა. საქართველოს მთავრობა სწორედ ამას აკეთებს. ვაშინგტონში ახლაც იმყოფება ოფიციალური დელეგაცია, რომელიც სწორედ იმას აკეთებს, რასაც თქვენ ამბობთ. შეხვედრებს მართავს ამ წერილების ავტორებთან და სავარაუდოდ, იმაზე ესაუბრება მათ, რომ მდგომარეობა არც ისე ცუდია, როგორც მათ ოპოზიციისგან ან არასამთავრობო ორგანიზაციებისგან მისდით ხმა. იმ შემთხვევაში, თუ არ გამოიკვეთა პრაქტიკული პროგრესი და არ შესრულდა დაპირებები, რა არის ყველაზე ცუდი შედეგი, რაც შეიძლება დადგეს?

— ეს კარგი კითხვაა. ყველაზე მძიმე შედეგი, რაც შეიძლება დადგეს დემოკრატიული უკუსვლის შემთხვევაში, ისაა, რომ საქართველოს შეიძლება შეუმცირდეს ან შეუწყდეს ზოგიერთი დახმარება, რომლსაც ამერიკა საქართველოს უკვე ათწლეულებია, უგზავნის. ან შეიძლება დახმარების დონე, უბრალოდ, შემცირდეს. ამაზე მნიშვნელოვანი კი სხვა რამაა. როგორც წელან აღვნიშნე, შეერთებული შტატების მხარდაჭერა საქართველოსთვის ნატოში გაწევრიანების გზაზე უკიდურესად მნიშვნელოვანია. თუ ამერიკამ გადაწყვიტა, რომ საქართველო დემოკრატიულ სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს — როგორიცაა მაგალითად გამჭვირვალობა, ანტიკორუფციული რეფორმები, კარგი მმართველობა, რაც ასევე საჭიროა ნატოში გასაწევრიანებლად — შეიძლება საქართველოს ნატოში გაწევრიანების მხარდაჭერა შეამციროს. ვფიქრობ, ამას უფრო დიდი ზიანის მოტანა შეუძლია ქვეყნისთვის, ვიდრე დოლარების ოდენობის შემცირებას.

— საქართველოს უდიდესი გამოწვევები აქვს. ოქტომბერში არჩევნები მოდის და ქვეყანა უკიდურესად პოლარიზებულია. ერთ-ერთ კითხვაზე პასუხის გაცემისას, თქვენ თქვით, რომ წერილები, რომლებსაც კონგრესი საქართველოს მთავრობას უგზავნის, დემოკრატიული უკუსვლის გამოძახილია. რაში გამოიხატება ეს უკუსვლა და რის გაკეთება შეიძლება მის შესაცვლელად?

— კონკრეტული შემთხვევები რომ ჩამოვთვალოთ, ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი პროპორციული არჩევნების დაპირების უკან წაღება იქნება. ასევე უნდა აღვნიშნოთ, სამთავრობო რესურსების არამართებულად გამოყენება წინასაარჩევნო პერიოდში, მოქალაქეებისთვის დავალიანების მოხსნა ასევე საარჩევნო პერიოდში... ისეთმა ორგანიზაციებმაც კი, როგორიცაა „ფრიდომ ჰაუსი,“ „პოლიტი პროჯექტი,“ „ეკონომისტი“ და სხვები, რომლებიც ამ მოვლენებს აკვირდებიან, დემოკრატიულ უკუსვლას ამჩნევენ.

ვფიქრობ, ეს ორი პარალელური პროცესის თვალსაჩინოდ წარმოჩენაა და ეს პროცესები ყოფილ საბჭოთა სივრცეში — ბალტიისპირეთის გარდა — თითქმის ყველგან გვხვდება. ერთი ისაა, რომ თავისუფალი არჩევნების გზით მოდიან მთავრობები და დროთა განმავლობაში სახელმწიფო რესურსს იყენებენ იმისთვის, რომ ხელისუფლებაში დარჩნენ. ისინი ასევე უფრო და უფრო მიუღებელი ხდებიან ლეგიტიმური ოპოზიციის მიმართ. ამის მაგალითები ვნახეთ როგორც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მთავრობის დროს, ასევე ვხედავთ „ქართული ოცნების“ მმართველობის დროსაც. მეორე, პარალელური პროცესი ისაა, რომ მოსახლეობა უფრო და უფრო ეწინააღმდეგება მთავრობის მიერ უფლებამოსილების გადამეტებას, უფრო მეტად იცავს საკუთარ უფლებებს და უფრო მეტად ხელმძღვანელობს ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებებით, ვიდრე მთავრობა. ის, თუ როგორ დამთავრდება ამ ორი პროცესის ერთმანეთთან შერწყმა, ძალიან საინტერესო იქნება. მე, ცხადია, მინდა ქართველმა ხალხმა გაიმარჯვოს.

ესაუბრა
ია მეურმიშვილი

ჩამშვებ-დამბოლებლებით მოწამლული ქვეყანა

ლობიზმი ძვირად ღირებულია, მაგრამ ღირს მისი მომსახურება

(პირველი გვერდიდან)

— როგორ ფიქრობთ, ქართული დელეგაციის ამერიკაში ვიზიტმა რადიკალურად შეცვალა სიტუაცია, თუ კონგრესმენები და სენატორები დროებით ჩაჩუმდნენ?

— რადიკალურად შეცვალა თუ არა სიტუაცია, ვერ გეტყვით, გაგრძელებას ვნახავთ, რა იქნება და როგორ იქნება. ფაქტია, ეს იყო ორკესტრირებული შეტევა საქართველოს ხელისუფლებაზე, ბათუ ქუთელიას სკანდალიც ამის მანიშნებელია. ეს იყო ლობიზმის შედეგი. ბუნებრივია, როცა ხელისუფლება ჩამორჩა ოპოზიციას და ოპოზიციამ უფრო მეტად იაქტიურა ლობისტური თვალსაზრისით, კონგრესმენებთან და სენატორებთან მეტი კომუნიკაციით და ისინი დააჯერა, თითქოს საქართველოში დემოკრატიის საქმე უკან მიდის, თითქოს ეკონომიკური რეგრესია, ამერიკულ ინვესტიციებს საფრთხე ემუქრება და რაღაც საგანგაშო ხდება, ამას მოჰყვა წერილები. **ამის შემდეგ ჩვენი ხელისუფლება გამოფხიზლდა და მიხვდა, რომ აუცილებელია კომუნიკაცია სტრატეგიულ პარტნიორთან და არ შეიძლება დეზინფორმაცია უფრო ადვილად აღწევდეს ძალიან პატივსაცემ ამერიკელ პოლიტიკოსებთან, ვიდრე რეალური ინფორმაცია. არჩილ თალაკვაძისა და კახა კუჭავას ვიზიტებიც ამას ემსახურება. სათანადო კომუნიკაციის შემდეგ ამერიკელი სენატორებიც და კონგრესმენი კიზინგერიც უფრო ადეკვატურად აფასებენ სიტუაციას, ტონი შეარბილა კიზინგერმაც და იმედია, ასეც იქნება. ახლა უკვე ასე იოლად აღარ დაუჯერებს „ნაცების“ ნათქვამს, ყოველ შემთხვევაში, ადგება, დაურეკავს აქ ვინმეს და ჰკითხავს, ამას მიყვებიან საქართველოს ხელისუფლების შესახებ და მართლაც ასეა? მხოლოდ ამის შემდეგ დაწერს ასეთ წერილებს.** სათანადო კომუნიკაცია რომ ყოფილიყო ხელისუფლებასთან, რა უშლიდათ, დაერეკათ, გადაემოწმებინათ ეს ყველაფერი, ერთ მხარეს რომ მოუსმინეს, მეორესთვისაც მოესმინათ.

— თუკი კომუნიკაციის ნაკლებობა იყო, რატომ ჩამორჩა მმართველი გუნდი ოპოზიციას? სწორება რატომ არ ჰქონდათ ვაშინგტონზე? სტრატეგიული პარტნიორი არ იყო მათთვის მნიშვნელოვანი?

— რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ მმართველი გუნდი საჭიროდ არ თვლიდა ლობისტებთან აქტიურობას. თავის დროზე მათ ჰყავდათ დაქირავებული ლობისტები, რომლებიც კონკრეტულად „ქართული ოცნების“ კი არა, საქართველოს ხელისუფლების, მთავრობის ინტერესებს ალაგებდნენ ამერიკაში, შემდეგ „ოცნებაში“ ჩათვალეს, რომ მიზანშეწონილი არ იყო ლობისტების დაქირავება და საკმარისად მიიჩნიეს ოფიციალური ურთიერთობები, ანუ სახელმწიფოთა შორის ოფიციალური არხები, დიპლომატიური საშუალებები, საგარეო საქმეთა სამინისტროს კონტაქტები, საელჩო, ჩვენი წარმომადგენელობები. თუმცა აღმოჩნდა, რომ ეს არ ყოფილა საკმარისი, რადგან ამერიკულ პოლიტიკურ ტრადიციაში ლობიზმი საკმაოდ მნიშვნელოვანია.

— „ქართულ ოცნებას“ ხომ შეეძლო, მაგალითი აეღო მიშასგან, რომელიც ძალიან კარგად იყენებდა ლობისტების ინსტიტუტს.

— წლების განმავლობაში სააკაშვილი კარგად იყენებდა ლობისტებს. დღესაც სააკაშვილს ჩამოყალიბებული კონტაქტები მეტი აქვს ამერიკულ პოლიტიკურ წრეებთან, ვიდრე „ქართულ ოცნებას“. ეს არის დისკომუნიკაცია, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ „ნაცების“ საძმიანობა უკვე ილეგს სახელმწიფოსთვის დამაზიანებელ ხასიათს. ისინი კონკრეტულად „ქართული ოცნების“ საწინააღმდეგოდ კი არ მოქმედებენ მხოლოდ, არამედ საერთაშორისო ასპარეზზე უტეხენ სახელს ჩვენს ქვეყანას დეზინფორმაციის გავრცელებით. სწორედ დეზინფორმაციაა „ფრონტერასთან“ დაკავშირებით რაც იყო ნათქვამი, დეზინფორმაციაა ისიც, თითქოს 80-ზე მეტი პოლიტპატიმარია საქართველოში, დეზინფორმაციაა ისიც, პროპორციული არჩევნები რომ ჩავარდა საქართველოში, თურმე ამით დემოკრატიას ბოლო მოეღო. თანაც, ამას ამბობენ ადამიანები, რომლებიც თვითონ მაჟორიტარული წესით არიან არჩეულნი. მათი როგორ უნდა დავიჯეროთ?

— როგორ გგონიათ, მმართველი გუნდი ლობისტებზე თანხებს იმიტომ არ ხარჯავდა, რომ ძვირად ღირებული მომსახურებაა ლობიზმი და თანხებს ამაში მაინც ზოგავდნენ?

— დიახ, მაგრამ ძვირად ღირებული რომ არის, ღირს კიდეც მისი მომსახურება. ხომ ხედავთ, რამხელა შედეგი აქვს ლობიზმს. კონგრესმენებიც და სენატორებიც კარგად იყვნენ დამუშავებულნი, მათთან სულ რამდენიმე შეხვედრა გამართა „ნაცებმა“ და უკვე შედეგი ვნახეთ. ცხადია, ჩვენმა საელჩომ უნდა იმუშაოს, ოფიციალური არხებით უნდა იმუშაოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, მაგრამ ეს არ არის საკმარისი.

— საელჩო სათანადოდ არ მუშაობდა?

— საელჩო მუშაობდა, თავის საქმეს ასრულებდა, მაგრამ ლობისტური კომპანია პირად კონტაქტებს იყენებს, პირადი ურთიერთობები აქვს კონკრეტულ ლობისტს, რომელიც ადრე პოლიტიკაში იყო აქტიურად ჩართული, ახლა ლობიზმითაა დაკავებული. ასეთი რამ ელჩს ნაკლებად შეუძლია. მას შეუძლია, ინფორმაცია მიაწოდოს ოფიციალური არხებით, მაგრამ პირადად მიწვდილ ინფორმაციას მეტი ფასი და მნიშვნელობა აქვს.

— ალბათ, ძნელია, იმის დაჯერება, რომ მხოლოდ ლობისტები ქმნიან სურათს ამერიკაში. სხვა წყაროებზე რომ არაფერი ვთქვათ, საქართველოში არსებობს ამერიკის საელჩო. ის არ არის ამ თვალსაზრისით ქმედითი?

— ეს პოლიტიკური თამაშებია. სხვათა შორის, ამერიკის საელჩოს პოზიცია მყარია, მას ერთი ნეგატიური სიტყვა არ დასცდენია.

— შეიძლება არ დასცდენია, მაგრამ არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ამ ხელისუფლებისთვის არცთუ სასიამოვნო ინფორმაციას გზავნის ამერიკაში.

— შესაძლოა, მაგრამ ლობისტების მიერ მიწვდილი ინფორმაცია ოფიციალური არხებით ხომ უნდა გადამოწმდეს? ისე, ეს დამოკიდებულია კონგრესმენის პირად შეხედულებებზე. ყოველთვის არ ხდება ისე, რომ კონგრესმენმა საელჩოში გადარეკოს და გადაამოწმოს სიმართლე. რაც მოხდა, მოხდა. ეს იყო კარგად დაგეგმილი აქცია, რაც ამერიკაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებსაც ეხმიანება — ტრამპის იმპიჩმენტს, პოლიტიკურ დაძაბულობას, მაგრამ ყველაფერი დალაგდება.

— ანუ ეუთო-ოდირის დასკვნისა და კონგრესმენების შეცვლილი პოზიციების შემდეგ „ოცნებისთვის“ სასარგებლო ფონი შეიქმნა?

— ეს აღმოჩნდა „ნაცმოძრაობის“ ფუჭი მცდელობა, რომ საგარეო მხარდაჭერა მიეღოთ და შიდა პროცესებზე მოეხდინათ ზეგავლენა. მით უმეტეს, სამარცხვინო კითხვა დასვეს, კონსტიტუციურია თუ არა ჩვენი კანონპროექტიო. ამაზე ეუთო-ოდირი კომენტარს ვერ გააკეთებდა და საკუთარ თავს ვერ აკადრებდა, რომელიმე ქვეყნის კანონპროექტის კონსტიტუციურობაზე ემსჯელა.

— ცალკეული ანალიტიკოსები ფიქრობენ, რომ კონგრესმენ-სენატორთა რეალური დამოკიდებულება მმართველი გუნდის მიმართ მხოლოდ 2020 წლის არჩევნების დღეს გამოჩნდება, მანამდე კი პროცესები შეიძლება დროებით მიყუჩდეს. ოპოზიცია ამთავითვე 2020 წლის არჩევნების დიაგნოზს სვამს, რომ ხელისუფლება არჩევნების გაყალბებას აპირებს. როგორ ფიქრობთ, ხალხის მოსყიდვა საჭირო გახდება, თუ სხვა ტაქტიკას აირჩევს „ქართული ოცნება“?

— რაც შეეხება მოსყიდვას, მმართველი გუნდი ამასაც „გამოიყენებს“, თუკი დასჭირდება, ოღონდ იმ ფორმით კი არ მოისყიდის, რომ კანონი დაარღვიოს აშკარა ფულის გადაცემით, არამედ ისეთ ღონისძიებებს გაატარებს, რაც ამომრჩეველში პოპულარული იქნება. ვიღაცებს ხელფასს გაუზრდის, ვიღაცას — სოციალურ დახმარებას, ვიღაცას გზას დაუგებს, ვიღაცას ბიზნესის წამოწყებაში დაეხმარება.

— მაგალითად, „ნაციონალების“ დროს არჩევნების წინ ძალზე დიდი ეფექტი ჰქონდა მოსახლეობისთვის უცხო ენებისა და კომპიუტერის უფასოდ სწავლებას. თუმცა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისას დედაქალაქის მერიამ ამ პროექტის დაფინანსებაზე უარი განაცხადა.

— არც ეს არის გამორიცხული. შეიძლება, უცხო ენებიც შეასწავლონ უფასოდ ხალხს. ცალკეულ სოციალურ ფენებს შეხედეთ, მასწავლებლებს ხელფასები მნიშვნელოვნად გაეზარდათ, ასევეა, სხვა შემთხვევებშიც. თუ ეს მოსყიდვაა, იყოს მოსყიდვა, ხელისუფლებას ამის რესურსი კიდევ აქვს, მაგრამ ამას რას უპირისპირებს ოპოზიცია? **რაც ბიძინამ გააკეთა 2012-ში, იმის მეასედიც ვერ გაუკეთებიათ, ბიძინამ სოფელ-სოფელ იარა კი არა, ლამის ყველა სახლში შევიდა, მას დიდი რესურსი, დიდი სოციალური კაპიტალი ჰქონდა და არ ჰქონია სახელი გატეხილი, როგორც „ნაცებს“ ჰქონდათ.** მათაც შეუძლიათ, მსგავსი რამ გააკეთონ, თუნდაც ის თემა გამოიყენონ, რასაც ახლა აპროტესტებენ, რომ ბიძინა დაგვპირდა პროპორციულ არჩევნებს და სიტყვა გატეხაო. **მათ შეუძლიათ, შემოიარონ ყველა ქალაქი, სოფლებში ჩავიდნენ, მომხრეები შეაქუჩონ, მაგრამ ამას არ აკეთებენ, სასაცილოდ იქცევიან, კომიკურ უნიჭო სპექტაკლებს დგამენ. პარლამენტში რომ სუნს დააყენებენ, ამით რამეს მოიგებენ? მათ წარსულზე სულაც რომ არაფერი ვთქვა, როგორ შეიძლება, მათ ქვეყნის ბედი ანდო, როცა ამერიკაში კონგრესმენებს აბოლებენ, აქეთ კი — ოდირს. ეგენი დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოს თამაშის წესებით არ მოქმედებენ. მათთვის პოლიტიკური სარგებელია მთავარი, შეიძლება პუტინიც გამოიყენონ ამ მიზნით. გინდა, ცერეუს აგენტი ყოფილან, გინდა — გერეუსი, რა მნიშვნელობა აქვს ამას...**

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

◎ სარედაქციო ფოსტიდან

როდემდე უნდა ვიღაღადო?!..

არის საქმე, სადაც არის დაზარალებულიც და მოსარჩელეც, საქმეც სუფთად დევს ხელისგულზე, საქართველოს მოქალაქისთვის კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებაზე — ქონება, რომელიც ასესხა მან საქართველოს ხელისუფლებას, როცა ეს სახელმწიფო ახალგაზრდა იყო და უჭირდა, ხაზინა გაძარცული იყო და, სხვათა შორის, იგივე მძარცველები დღესაც არხეინად გრძნობენ თავს, ასეთ პირობებში მე, გამსესხებელი, დღეს გაძარცული და დაყაჩაღებული, ლოგინად ჩავარდნილი დავრდომილი ავადმყოფი, უსახსრობის გამო ვერც ექიმთან მივსულვარ და ვერც წამალი მიყიდია. ზოგიერთი კი აქეთ დამცინის სააკაშვილის კრიმინალური 108-ე დადგენილების მოშვეულიებით, რომელიც წესით სააკაშვილთან ერთად უნდა გამქრალიყო და აღდგენილიყო სამართლიანობა.

მე, ქართლოს ზაქარეიშვილი, ამ ქონების მფლობელი, შეირაღებული ვარ საკანონმდებლო, შედარებით მსუბუქი არტილერიით, მაგრამ ვერაფრისთვის მიმიღწევია...

ჩემი შეიარაღება ეს არტილერიაა — საქართველოს კონსტიტუციის ფუნდამენტური მე-2 ნაწილის 21-ე და 42-ე მუხლები და შედარებით მსუბუქი, რომელსაც მკაცრი გადაწყვეტილებების მიღებაც ხელეწიფება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები №332, №333, №341, №180, №182. ზოგიერთი ხელისუფალი თითებშუა უყურებს კანონების ამ მოთხოვნებს და იმალება თაგვივით სოროში დუმილის სინდრომით დაავადებული ისე, რომ ჩემთვის პასუხიც კი ვერ გაუციათ, მაინც რატომ არ მიბრუნებენ ჩემს ვალს, რა დავაშავე ასეთი, რომ ჩემი ქონება ექვემდებარება კონფისკაციას?! ცნობისთვის — სააკაშვილის ხელში ქვეყნის №1 ხულიგან გივია თარგამაძეს რევერანსებით მიართვეს ამგვარი ვალი 82 000 ლარი, მასთან ერთად გაუნაღდეს ვალები მრავალ იმათ თაყვანისმცემელს, მათ შორის მაია ნადირაძეს და ბესო ჯუღელს.

ბატონებო, „ძლიერნო ამა ქვეყნისავ“, მოეგეთ გონს, როგორც ერთია უფალი, ისე ერთია საქართველო. გაუფრთხილდით მას და მის ღირსეულ მოსახლეობას, ქართველ ხალხს. ქართველი ხალხი არასდროს ყოფილა ბინძური პოლიტიკის ფეტიში და ფულის მონა. თქვენ რა ჭირი მოგდით, ხალხის ხარჯზე გამდიდრებულნო. ფუი ასეთ კაცობას!!

საქართველო სააკაშვილისა და ნაცისტების გარეშე!..

ქართლოს ზაქარეიშვილი,
პენსიონერი, 90 წლისა

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲛᲖᲐᲠᲓᲘ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲨᲘ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲮᲕᲓᲐ!

„ᲘᲛᲘᲡ ᲤᲝᲜᲖᲔ, როდესაც ქვეყნის ბიუჯეტიდან მილიონობით ლარი იხარჯება ტურიზმის სფეროს პოპულარიზაციისთვის, საქართველო, რეიტინგის ტოპ-ოცეულშიც კი ვერ მოხვდა და რეგიონში ყველა ქვეყანამ გაგვისწრო“, — ამის შესახებ პოლიტიკური პლატფორმა „ახალი საქართველოს“ სათათბიროს წევრი **თამთა შამათავა** აცხადებს.

მისი მოსაზრებით, ამ მიმართულებით მასშტაბური სამუშაოებია ჩასატარებელი. როგორც შამათავა აცხადებს, საქართველოში არის 80 აუთვისებელი კურორტი, რომელიც მსოფლიო დონის დასასვენებელ ადგილად შეიძლება იქცეს. მათ შორის, სარეაბილიტაციო ტურიზმის მიმართულებით საქართველო უკონკურენტოა რეგიონში და ეს აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ.

შამათავას ინფორმაციით, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციამ 4 თებერვალს სწრაფად მზარდი ტურისტული მიმართულებების რეიტინგი გამოაქვეყნა. სამწუხაროდ, საქართველო 2019 წლის ყველაზე სწრაფად მზარდ ტურისტულ მიმართულებებში ვერ მოხვდა, მაშინ როდესაც ჩვენი მეზობელი სახელმწიფოები რეიტინგის ტოპ ოცეულში იკავებენ ადგილს.

„მაგალითისთვის, სომხეთი მე-12 ადგილზეა და გასულ წელს 14,4%-იან ზრდას აჩვენებს ტურიზმის სექტორში. აზერბაიჯანი მე-17 ადგილს იკავებს, თურქეთმა კი მე-13 ადგილი დაიკავა და ტურიზმის სექტორის 14%-იანი ზრდა აჩვენა.სამწუხაროა, რომ უდიდესი ტურისტული პოტენციალის მქონე საქართველო ამ ჩამონათვალში ვერ მოხვდა. მიუხედავად იმისა, რომ ტურიზმი დეკლარირებულია, როგორც პრიორიტეტული მიმართულება, დღემდე ვერ ვახერხებთ რესურსების ათვისებას და გარღვევას მსოფლიო ბაზარზე“, — აცხადებს შამათავა.

მისივე მტკიცებით, ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ გასულ წელს 16 მილიონ ლარზე მეტი დახარჯა ქვეყნის მარკეტინგში საზღვარგარეთ, მაგრამ ქვეყნის შიგნით არაფერი იცვლება. **„აქ ჩამოსულ ტურისტს ისევ ხვდება მოუწესრიგებელი ინფრატრუქტურა, წყლის პრობლემები და დაბალი სერვისი. ამას წლევანდელი ზამთრის სეზონის ჩავარდნა და გუდაურიდან და ბაკურიანიდან გაქცეული ტურისტებიც მოწმობს“,** — აღნიშნავს შამათავა.

მისივე განმარტებით, ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას აქვს მასშტაბური, მეგაპროექტების დეფიციტი, რომლის გარეშეც ტურიზმის სწრაფი და ეფექტური განვითარება მოკლე დროში შეუძლებელია. დარწმუნებული ვარ, არც იციან, რომ, მაგალითად, საქართველოში გვაქვს 80 აუთვისებელი საკურორტო ადგილი, სადაც მსოფლიო დონის კურორტების მოწყობა შეიძლება.

„გამაჯანსაღებელი ტურიზმი არის ის, რაშიც ათჯერ მეტს იხდის ამ მისიით ჩამოსული ადამიანი. თუ ერთი ტურისტი საშუალოდ ხარჯავს 200-300 დოლარს, გამაჯანსაღებელ ტურიზმს ერთ ადამიანზე მოაქვს საშუალოდ 2000 დოლარი. ჩვენ შეგვიძლია, ეს ნიშა დავიკავოთ რეგიონში, თუმცა ამას სჭირდება აქტიური მუშაობა, რითაც არსებული ხელისუფლება ვერ და არ გამოირჩევა,“, — განაცხადა თამთა შამათავამ.

ᲑᲐᲩᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐ

ᲜᲐᲗᲘᲐ ᲗᲣᲠᲜᲐᲕᲐ: ᲡᲡᲤ-ᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲓᲐ ᲡᲬᲝᲠᲐᲓ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲡ

ᲛᲘᲕᲔᲡᲐᲚᲛᲔᲑᲘ, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიამ, მერსედეს ვერა მარტინის ხელმძღვანელობით, ძალიან დადებითად შეაფასა საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები და სტრუქტურული რეფორმები, — ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის შეფასების კომენტარისას განაცხადა.

მისი თქმით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის შეფასება არის ძალიან დადებითი. **„პრაქტიკულად, 2019 წელს ეკონომიკური ზრდა ბევრად აჭარბებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის პირვანდელ პროგნოზს. მოგეხსენებათ, სსფ-ის თავდაპირველი პროგნოზი იყო 4,6 პროცენტი, ხოლო რეალურად ეკონომიკურმა ზრდამ 5,2 პროცენტი შეადგინა“,** — აღნიშნა ნათია თურნავამ.

ეკონომიკის მინისტრის განცხადებით, მაღალი ეკონომიკური ზრდის გარდა, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ხაზგასმით აღნიშნა ის დიდი მიღწევა, რომელიც საგარეო სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებას ეხება.

„ᲥᲣᲗᲔᲥᲡᲘᲡ“ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲤᲐᲡᲝ ᲐᲜᲐᲖᲦᲐᲣᲠᲔᲑᲐᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲔᲜ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ **სამკერვალო საწარმო „ქუთექსის“ ყოფილმა თანამშრომლებმა საქალაქო სასამართლოსთან აქცია გამართეს. ისინი ოთხი თვის სახელფასო დავალიანების ანაზღაურებას ითხოვენ.**

მათი თქმით, კომპანია რვა თვის წინათ დაიხურა და მას შემდეგ ხელფასების ანაზღაურებას უშედეგოდ ითხოვენ. სამკერვალოს ყოფილმა თანამშრომლებმა სასამართლოს სარჩელით მიმართეს.

„ვითხოვთ ჩვენს ნამუშევარს, მაგრამ, სამწუხაროდ, არ გვაძლევენ. საწარმო დაიკეტა მოულოდნელად. ამ ხნის განმავლობაში ძალიან ბევრჯერ მოვითხოვეთ დავალიანების ანაზღაურება, მაგრამ არანაირი გამოხმაურება არ ყოფილა. ერთი კვირაა, რაც სასამართლოში სარჩელი შევიტანეთ. საწარმოს მეპატრონე არის თურქი და პირადი საუბარი არ გვქონია, ვინაიდან ჩვენთან არ ჩამოდის, ტელეფონს თიშავს, უხეშად რომ ვთქვათ, მოგვიშორა თავიდან“, — ამბობს კომპანიის ყოფილი თანამშრომელი შორენა კოჩაძე.

ᲢᲕ „ᲘᲑᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲕᲐ ᲛᲝᲘᲒᲔᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ **პროფესიული კავშირების გაერთიანებამ ტელეკომპანია „იბერიას“ ყოფილი 33 თანამშრომლის სასარგებლოდ საქმე საქალაქო სასამართლოში მოიგო.**

ყოფილი თანამშრომლები ტელეკომპანიისგან კომპენსაციის გადახდა და ასევე ნამუშევარი 6 დღის ანაზღაურებას მოითხოვენ. დავა ერთი წელია, გრძელდებოდა.

ტელეკომპანიის თანამშრომლები სამსახურიდან გაუფრთხილებლად გაათავისუფლეს 2018 წლის ოქტომბრის თვეში. ტელეკომპანიისთვის დაკისრებულმა თანხამ 77 000,00 ლარი შეადგინა. „იბერიის“ ყოფილი 33 თანამშრომლის ინტერესებს საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება იცავს.

ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ, ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲮᲠᲐᲛᲨᲘ ᲜᲐᲙᲐᲓᲣᲚᲘᲡ 700-ᲛᲓᲔ ᲙᲐᲚᲛᲐᲮᲘ ᲒᲐᲣᲨᲕᲔᲡ

ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ **დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ველური ბუნების სააგენტომ პოპულაციის აღდგენის მიზნით, „წითელი ნუსხის“ სახეობა — ნაკადულის 700-მდე კალმახი მდინარე ხრამში, დაშბაშის კანიონის ხეობაში გაუშვა. დაცული ტერიტორიების სააგენტომ თევზების მეთვალყურეობისთვის ფოტო-ვიდეოხაფანგები დაამონტაჟა.**

2016 წლის სექტემბრიდან გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ველური ბუნების ეროვნული სააგენტო ახალ პროექტს ახორციელებს, რომელიც საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობის, ნაკადულის კალმახის გამრავლებას ითვალისწინებს. ამ მომენტისთვის ნაკადულის კალმახის 100 000-მდე ლავრა არის მიღებული. სააგენტოს გეგმა წელიწადში ნახევარი მილიონი ლიფსიტის წარმოება და მდინარეების გათევზიანებაა.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚ ᲞᲘᲠᲔᲑᲗᲐᲜ

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი დაინტერესებულ მხარეთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ 2020 წლის 24 თებერვალს 12:00 საათზე, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ საგურამოს საჯარო სკოლის შენობაში (მისამართი სოფელი საგურამო №1 ქუჩა №20 შენობა) ხოლო, 2020 წლის 25 თებერვალს 11:00 საათზე დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში (მის. რუსთაველის ქუჩა №27) და 2020 წლის 25 თებერვალს 15:00 საათზე დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ჭოპორტის კულტურის სახლში, საქართველოს გზების დეპარტამენტის მიერ გაიმართება, E-60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ნატახტარი-რუსთავის (თბილისის შემოვლითი გზა), ნატახტარი-ჟინვალის მონაკვეთის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადების ეტაპზე პროექტის არეალში მოხვედრილი ადგილობრივ მოსახლეობასთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან საჯარო შეხვედრა.

შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება. საინფორმაციო შეხვედრის დროს საპროექტო ორგანიზაციის წარმომადგენლები და პროექტის მომზადების ეტაპზე ჩართული ექსპერტები დამსწრე საზოგადოებას მიაწვდიან მოკლე ინფორმაციას დაგეგმილი პროექტის, მისი ადგილმდებარეობის, მიმდინარე და ჩასატარებელი კვლევების შესახებ. პრეზენტაცია ასევე გამოკვეთს საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების პროცედურების შესაბამისად გარემოსდაცვითი შეფასების საჭიროებისა და სოციალურ და განსახლების საკითხებზე მოსახლეობის პროცესში ჩართულობის აუცილებლობაზე.

◎ ჭიდაობა

„ოქროს“ იქნება



იტალიის დედაქალაქში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ეროვნულმა ნაკრებმა გამოსვლა ოთხი მედლით დაასრულა.

დასკვნითი ჯილდო „ჯვაროსნებს“ 72 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე **იური ლომაძემ** მოუტანა. ქართველი ფალავანი რომის ხალიჩაზე შესაშურად ჯერ კიდევ სტარტზე გაისარჯა და ფინალში გავიდა, სადაც გერმანელ ფრანკ სტებლერს დაეჭიდა.

სატიტულო ბრძოლაში პირველი ქულა იურიმ მიითვლა, თუმცა, შემდეგ უპირატესობას მეტოქე დაეუფლა და საბოლოოდ ოზურგეთელი 2:6 დამარცხდა, რის შედეგადაც ვერცხლის მედალს დასჯერდა.



ლომაძემ ფინალამდე საწყის ორ შეხვედრაში ბელარუს იური კანკუს და ხორვატ დომინიკ ეტლინგერს ერთნაირი ანგარიშით — 11:0 აჯობა, ნახევარფინალში კი თურქ სელჩუკ ჯანს გაეჯიბრა, რომელთანაც ასევე არ გასჭირვებია — 7:0.

შეგახსენებთ, რომ ლომაძემდე **ლევან არაბულმა (130 კგ)** ვერცხლის, ხოლო **ნუგზარ წურწმუმიამ (55კგ)** და **ამირან შავაძემ (60 კგ)** ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს.

ამრიგად, საქართველოს კლასიკოსთა ნაკრებმა ევროპის 2020 წლის ჩემპიონატზე გამოსვლა „ოქროს“ გარეშე დაასრულა, მაგრამ ოთხი მედალი (ორი „ვერცხლი“ და ორი „ბრინჯაო“) მაინც მოიპოვა. აქვე გეტყვით, რომ არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში საქართველომ 82 ქულა დააგროვა და მეხუთე ადგილი დაიკავა, ჩამორჩა რა რუსეთის, აზერბაიჯანის, თურქეთისა და სომხეთის გუნდებს.

დღეიდან ასპარეზობაში საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები ჩაერთვება.

კობა კობახიძე

◎ კალათბურთი

თორნიკე შენგელია თვის MPV გახდა

„ბასკონიას“ კაპიტანი თორნიკე შენგელია ლიგა ენდესას თებერვლის საუკეთესო მოთამაშე გახდა. ქართველმა მძიმე ფორვარდმა ამ თვეში ორი შეხვედრა ჩაატარა და მისი მარგი ქმედების საშუალო კოეფიციენტი 29 აღმოჩნდა.

თორნიკემ „უნიკახას“ წევრ ხაიმე ფერნანდესს (26.5 საშუალო კოეფიციენტი) და „მანრესას“ კალათბურთელ დავიდ კრავიშს (22) აჯობა. აღსანიშნავია, რომ ლიგა ენდესაში თებერვალში მხოლოდ ორი ტური ჩატარდა და თვის MVP-იც ასე ნაადრევად ამიტომ გამოვლინდა. მომდევნო ტური ესპანეთში 29 თებერვალსა და 1 მარტსაა დაგეგმილი, რაც ამ თვის მონაცემებში არ შედის.

შენგელიამ თებერვალი შესანიშნავად დაიწყო და „უნიკახასთან“ 15 ქულა, 7 მოხსნა, 4 პასი და 25 მარგი ქმედების კოეფიციენტი მიითვალა, ხოლო შემდეგ „მონბუსთან“ 19 ქულა, 7 მოხსნა, 3 პასი და 33 მარგი ქმედების კოეფიციენტი დააგროვა.

საერთო ჯამში თორნიკეს თვის შეფასება 29-ს გაუტოლდა და ხსენებულ ორ მატჩში საშუალოდ 17 ქულა, 7 მოხსნა და 3.5 პასი შეადგინა.



აქვე გეტყვით, რომ შენგელია ლიგა ენდესას თვის MVP ბოლოს 2018 წლის ოქტომბერში გახდა, ხოლო ორი დღის წინათ ესპანეთის ჩემპიონატის წლის გიგანტად (საუკეთესო მოთამაშე) აღიარეს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

„საბურთალომ“ ცეცაძესთან კონტრაქტი გაწყვიტა

„საბურთალოსა“ და მის უკვე ყოფილ მთავარ მწვრთნელ გია ცეცაძეს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე კონტრაქტი შეწყდა. კლუბმა ქართველ სპეციალისტს გაწეული შრომისთვის მადლობა გადაუხადა და მომავალში წარმატებები უსურვა.

რაც შეეხება ამხანაგურ შეხვედრას „ალკოიანოსთან“, ამ მატჩისთვის გუნდს გამოცდილი სპეციალისტი თემურ შალამბერიძე მოამზადებს.

თუ ვინ იქნება მომავალში „საბურთალოს“ თავკაცი, რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი, როცა იგი ესპანური შეკრებიდან სამშობლოში დაბრუნდება.

შეგახსენებთ, რომ ცეცაძე მანამ, სანამ „საბურთალოს“ ჩაიბარებდა, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს ავარჯიშებდა, თუმცა, აღნიშნული პოსტი იანვარში დატოვა და დედაქალაქურ კლუბს ჩაუდგა სათავეში.

სულთათანა

მარიამ ბაღდავაძე

გარდაიცვალა საბჭოთა სისტემისგან ერისა და ადამიანის უფლებათა დაცვისთვის მრავალგზის დევნილი, გამორჩეული ქართველი დისიდენტი, პოლიტპატიმარი, სახალხო პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი, ქ-ნი მარიამ (მარიკა) ბაღდავაძე.

მარიკა ბაღდავაძემ განვლო ძლიერი, უკომპრომისო და სამართლიანი ქალის უჩვეულო ცხოვრება. იგი 1978 წლის 14 აპრილიდან იყო ჩართული ქართულ დისიდენტურ მოძრაობაში და მის თანამებრძოლებთან ერთად უდიდესი როლი შეასრულა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღორძინებასა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების საქმეში.

იგი იყო არაერთი გახმაურებული აქციის ორგანიზატორი და თანამონაწილე, მათ შორის ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებისთვის ყველაზე გარდამტეხის — 1981 წლის მცხეთის აქცია, 1983 წელს გეორგიევსკის ტრაქტატის საწინააღმდეგო მანიფესტაცია, 1988 წლის ნოემბრის შიმშილობა, 1989 წლის 9 აპრილი და სხვ. რის გამოც ორჯერ იყო გასამართლებული რეჟიმის მიერ. საპატიმროებშიც განსაკუთრებული შევიწროების პირობებში უწევდა ყოფნა.

მარიკა ბაღდავაძე გამოირჩეოდა უდიდესი პრინციპულობით და შეუვალობით, რაც მის მოწინააღმდეგეებშიც კი პატივისცემას იწვევდა და მის სიტყვას საზოგადოების და ხელისუფლების ყველა ფენაში ანგარიშს უწევდნენ.

მან უდიდესი როლი ითამაშა საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის განვითარების საქმეშიც, ის გახდა პატიმრების და უსამართლოდ დაჩაგრული ადამიანების ქომაგი და იმედი. დიდი როლი შეასრულა საქართველოში ომბუდსმენის ინსტიტუტის დამკვიდრებაში — იყო მისი ერთ-ერთი პირველი ხელმძღვანელთაგანი.

სამწუხაროდ, მას არ მიეცა საშუალება, დამოუკიდებელ საქართველოში სრულად გამოევლინა თავისი შესაძლებლობები. რეპრესიებმაც თავისი დაღი დაასვა მის ჯანმრთელობას, მაგრამ წლების განმავლობაში ლოგინად ჩავარდნილს ერთხელაც არ დასცდენია საყვედური, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი და საქართველოს ეკლესიის ერთგული შვილი, სიყვარულს, სითბოსა და იმედს აძლევდა მის გვერდით მყოფთ.

ერთგული თანამებრძოლი, მოსიყვარულე მეუღლე და ოთხი ვაჟკაცის დედა, საქართველოს სიყვარულს შეწირული ქალბატონი, პრინციპულობისა და შეუვალობის სიმბოლო — ასეთი იყო ჩვენი თანამედროვეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე მარიამ (მარიკა) ბაღდავაძე.

ღმერთმა დაამკვიდროს მისი კეთილი სული სადაც მართალნი განისვენებენ.

ოჯახი, მეგობრები, თანამებრძოლები.

დააკავეს ოჯახში მოძალადე

სამცხე-ჯავახეთის **პოლიციის დეპარტამენტის ახალციხის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად 1976 წელს დაბადებული ჯ.გ. ოჯახში ჩადენილი ძალადობისა და ოჯახის წევრის მიმართ მუქარის ბრალდებით დააკავეს.**

ბრალდებულმა ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ სვირში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, არასრულწლოვან შვილს — 2009 წელს დაბადებულ ს.გ.-სა და მეუღლეს — 1987 წელს დაბადებულ ლ.მ.-ს, არასრულწლოვნის თანდასწრებით ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

გამოძიებით, ასევე დადგინდა, რომ ჯ.გ., არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით მეუღლეს ცეცხლსასროლი იარაღისა და ნაჯახის გამოყენებით სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა. პოლიციამ დაკავებულის საცხოვრებელი სახლიდან ცეცხლსასროლი იარაღი და ნაჯახი ნივთმტკიცებად ამოიღო.

ახალშობილის გაყიდვის საქმეზე ბრალდებული დედის გადაწყვეტილება მატერიალურ გაჭირვებას უკავშირდება...

ახალშობილის **გაყიდვის საქმეზე ბრალდებული დედის ირმა მაისურაძის ადვოკატი აცხადებს, რომ ბავშვის გაშვილება ოჯახის მატერიალურ მდგომარეობას უკავშირდებოდა.**

როგორც ადვოკატმა ნათელა ჩერქეზიამ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, ბრალდებულ დედას თავდაპირველად აბორტის გაკეთება სურდა, თუმცა მოგვიანებით გადაიფიქრა.

„მცირეწლოვანი ბავშვის დედა ირმა მაისურაძე აღიარებს, რომ გადაიფიქრა აბორტი. ადამიანები თვითონ იღებენ გადაწყვეტილებას. გადარჩა ბავშვი. მე ვფიქრობ, ამ შვიდი კაცის პასუხისგებაში მიცემა იმად ღირდა, რომ ეს პატარა ბიჭი დაბადებულიყო. ეს არის მარტოხელა დედა, რომელსაც არ ჰყავს მეუღლე, ჰყავს ერთი სტუდენტი შვილი, რომელიც მის კისერზეა და ის არჩენს და არის ეკონომიკურად შეჭირვებული. ყველაფერი ის, რაც აბორტს უკავშირდება და ბავშვის მოშორების გადაწყვეტილებას, არის დამოკიდებული მის მატერიალურ სიდუხჭირესთან. ექიმმა ურჩია, იქნებ შეენარჩუნებინა ბავშვი და ამით დამთავრდა ეს სიტუაცია. ექიმს მისთვის შვილი გაყიდეო, არ ურჩევია. მე არ ვიცავ კლინიკის ექიმებს. ნამდვილად არ ვიცი, არიან თუ არა ჩართულები. არის დიდი ვარაუდი, რომ არ ყოფილიყვნენ ჩართულები და სიტუაცია მივიდა გაშვილების მომენტამდე“, — განაცხადა ადვოკატმა.

ამასთან ადვოკატი აცხადებს, რომ ბავშვის მყიდველები რეალურად ოპერატიული მუშაკები იყვნენ და ფულის გადაცემის ფაქტი არ მომხდარა.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟი

დადგენილება

არბიტრაჟის სახელით საჯარო შეტყობინების შესახებ

საქმე №01-30/2020

ქ. თბილისი 12 თებერვალი, 2020 წელი

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარემ მამუკა ღვინიაშვილმა, მხარეთა მონაწილეობის გარეშე განვიხილე სარჩელის საჯაროდ გავრცელების საკითხი.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარემ მამუკა ღვინიაშვილმა, მხარეთა მონაწილეობის გარეშე განვიხილე სარჩელის საჯაროდ გავრცელების საკითხი.

გამოვარკვიე:

საქართველოს საარბიტრაჟო პალატას საარბიტრაჟო სარჩელით მომართა ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიამ“ შპს „აქსისის“, ი.მ.ა „აქსისი პალასი-2“-ის, მაია დილევსკაიას, გედეონ სამარგულიანის, ლანა გიგაურის, გურამ ჭოხონელიძეს, ნინო გურგენიძეს, ეკატერინე სადრაძეს, ვასილ ებრალიძეს, მარინე ჩიტიაშვილის, სტეფანე განჯელაშვილის, ევგენია მალინოვას და ელენა სულაძეს მიმართ, თანხის დაკისრების და იპოთეკით დატვირთული ქონების აუქციონზე რეალიზაციის შესახებ.

სარჩელისა და მასზე თანდართული მასალების ასლები, ასევე არბიტრაჟის დებულება, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულებით დადგენილი წესების შესაბამისად, არბიტრაჟისათვის ცნობილ მისამართებზე გაეგზავნათ მოპასუხეებს. ჩაბარების არაერთი მცდელობის მიუხედავად ი.მ.ა „აქსისი პალასი 2“-ს და მის თავმჯდომარეს, გედეონ სამარგულიანს, ევგენია მალინოვას და ელენა სულაძეს საქმის მასალები ვერ ჩაბარდათ.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-17 მუხლის თანახმად თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის არბიტრაჟის შეტყობინების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება და არბიტრაჟის მიერ ამ დებულების მე-16 მუხლით გათვალისწინებული შეტყობინების მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, არბიტრაჟს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება არბიტრაჟის შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში არბიტრაჟის შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

არბიტრაჟს მიიჩნია, რომ ვინაიდან მოპასუხეებს ი.მ.ა „აქსისი პალასი 2“-ს, გედეონ სამარგულიანს, ევგენია მალინოვას და ელენა სულაძეს სარჩელში მითითებულ მისამართებზე გაგზავნილი სარჩელი და თანდართული მასალები ვერ ჩაბარდათ და ამასთან მათი სხვა ადგილსამყოფელის შესახებ არბიტრაჟისათვის უცნობია, მათ სარჩელის და თანდართული მასალების თაობაზე უნდა ეცნობოთ საჯარო შეტყობინებით.

სარეზოლუციო ნაწილი:

ვიხელმძღვანელე საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-2, მე-17 მუხლებით და

დავადგინე:

1. მოპასუხეებს ი.მ.ა „აქსისი პალასი 2“-ს, გედეონ სამარგულიანს, ევგენია მალინოვას და ელენა სულაძეს საქართველოს საარბიტრაჟო პალატა წინამდებარე პუბლიკაციით ატყობინებს შემდეგს:

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის წარმოებაშია ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ საარბიტრაჟო სარჩელი შპს „აქსისის“, ი.მ.ა „აქსისი პალასი-2“-ის, მაია დილევსკაიას, გედეონ სამარგულიანის, ლანა გიგაურის, გურამ ჭოხონელიძეს, ნინო გურგენიძეს, ეკატერინე სადრაძეს, ვასილ ებრალიძეს, მარინე ჩიტიაშვილის, სტეფანე განჯელაშვილის, ევგენია მალინოვას და ელენა სულაძეს მიმართ, თანხის დაკისრების და იპოთეკით დატვირთული ქონების აუქციონზე რეალიზაციის შესახებ.

<u>სასარჩელო მოთხოვნა:</u>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის საფუძველზე შპს „აქსისს“ სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ სასარგებლოდ დაეკისროს საკრედიტო დავალიანების 2053360.59 აშშ დოლარის, გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებელის 30000 ლარის და საჯარო რეესტრის ამონაწერების განახლების საფასურის 55 ლარის გადახდა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 301-ე მუხლის თანახმად დადგინდეს იპოთეკით დატვირთული, ქვემოთ მითითებული, უძრავი ნივთების რეალიზაცია იძულებით აუქციონზე:

ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, სართული 3, ბინა N4-02, ბლოკი 3, ს/კ 01.10.17.002.006.03.04.002 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458757, დამოწმების თარიღი 28/01/2010), მესაკუთრე ლანა გიგაური.

ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, სართული 3, ბინა N8-03, ბლოკი 5, ს/კ 01.10.17.002.006.05.08.003 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458800, დამოწმების თარიღი 28/01/2010), მესაკუთრე მაია დილევსკაია.

ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, კომერციული ფართი N5-3, სართული 3, ბლოკი 5, ს/კ 01.10.17.002.006.05.05.003 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458800, დამოწმების თარიღი 28/01/2010), მესაკუთრე გურამ ჭოხონელიძე.

ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, კომერციული ფართი N4-4, სართული 2, ბლოკი 4, ს/კ 01.10.17.002.006.06.04.004 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458847, დამოწმების თარიღი 28/01/2010), მესაკუთრე გედეონ სამარგულიანი.

ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, კომერციული ფართი N5-1, სართული 2, ბლოკი 5, ს/კ 01.10.17.002.006.05.05.001 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458665, დამოწმების თარიღი 28/01/2010), მესაკუთრეები ევგენია მალინოვა და ელენა სულაძე.

ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, სადარბაზო 10, სართული 6, ბინა N10-13, ბლოკი 6, საკადასტრო კოდით N01.10.17.002.006.04.10.013 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882018292065, დამოწმების თარიღი 05/04/2018) -მესაკუთრე ნინო გურგენიძე.

ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, კომერციული ფართი N3-8, სართული 3, ბლოკი 3, ს/კ 01.10.17.002.006.03.03.008 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458928, დამოწმების თარიღი 28/01/2010), მესაკუთრე ეკატერინე სადრაძე.

ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, კომერციული ფართი N1-3ა, სართული 2, ბლოკი 1, ს/კ 01.10.17.002.006.01.02.003ა (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458738, დამოწმების თარიღი 28/01/2010) - მესაკუთრე ვასილ ებრალიძე.

ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, კომერციული ფართი N1-3ბ, სართული 2, ბლოკი 1, ს/კ 01.10.17.002.006.01.02.003ბ (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458738, დამოწმების თარიღი 28/01/2010) - მესაკუთრე ვასილ ებრალიძე.

ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, კომერციული ფართი N1-3გ, სართული 2, ბლოკი 1, ს/კ 01.10.17.002.006.01.02.003გ (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458738, დამოწმების თარიღი 28/01/2010) - მესაკუთრე ვასილ ებრალიძე.

ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, კომერციული ფართი N3-2, სართული 2, ბლოკი 3, ს/კ 01.10.17.002.006.03.03.002 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458653, დამოწმების თარიღი 28/01/2010), მესაკუთრე მაია დილევსკაია.

ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, კომერციული ფართი N3-3, სართული 2, ბლოკი 3, ს/კ 01.10.17.002.006.03.03.003 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458726, დამოწმების თარიღი 28/01/2010), მესაკუთრე მარინე ჩიტიაშვილი.

ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, კომერციული ფართი N3-4, სართული 2, ბლოკი 3, ს/კ 01.10.17.002.006.03.03.004 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458713, დამოწმების თარიღი 28/01/2010), მესაკუთრე მარინე ჩიტიაშვილი.

ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, კომერციული ფართი N3-5, სართული 2, ბლოკი 3, ს/კ 01.10.17.002.006.03.03.005 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458953, დამოწმების თარიღი 28/01/2010), მესაკუთრე მარინე ჩიტიაშვილი.

ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, სართული 3, ბინა N6-01, ბლოკი 4, ს/კ 01.10.17.002.006.06.06.001 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458876, დამოწმების თარიღი 28/01/2010) - მესაკუთრე ი.მ.ა „აქსისი პალასი-2“.

ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, სართული 3, ბინა N6-02, ბლოკი 4, ს/კ 01.10.17.002.006.06.06.002 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458876, დამოწმების თარიღი 28/01/2010) - მესაკუთრე ი.მ.ა „აქსისი პალასი-2“.

ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, სართული 3, ბინა N6-03, ბლოკი 4, ს/კ 01.10.17.002.006.06.06.003 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458789, დამოწმების თარიღი 28/01/2010) - მესაკუთრე ი.მ.ა „აქსისი პალასი-2“.

ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, კომერციული ფართი N4-5, სართული 3, ბლოკი 4, ს/კ 01.10.17.002.006.06.04.005 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458789, დამოწმების თარიღი 28/01/2010) - მესაკუთრე გურამ ჭოხონელიძე.

ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, სართული 3, ბინა N9-01, ბლოკი 6, საკადასტრო კოდი N01.10.17.002.006.04.09.001 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458909, დამოწმების თარიღი 28/01/2010) - მესაკუთრე ეკატერინე სადრაძე.

ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, კომერციული ფართი N6-4, სართული 3, ბლოკი 6, ს/კ 01.10.17.002.006.04.06.004 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458909, დამოწმების თარიღი 28/01/2010) - მესაკუთრე მაია დილევსკაია.

ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, სართული 3, ბინა N7-02, ბლოკი 4, ს/კ 01.10.17.002.006.06.07.002 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458607, დამოწმების თარიღი 28/01/2010) - მესაკუთრე ი.მ.ა „აქსის პალასი-2“.

ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, სართული 3, ბინა N7-03, ბლოკი 4, ს/კ 01.10.17.002.006.06.07.003 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458607, დამოწმების თარიღი 28/01/2010) - მესაკუთრე ი.მ.ა „აქსის პალასი-2“.

ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, სართული 3, ბინა N7-04, ბლოკი 4, ს/კ 01.10.17.002.006.06.07.004 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458607, დამოწმების თარიღი 28/01/2010) - მესაკუთრე ი.მ.ა „აქსის პალასი-2“.

ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, კომერციული ფართი N6-1, სართული 2, ბლოკი 6, ს/კ 01.10.17.002.006.04.06.001 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458921, დამოწმების თარიღი 28/01/2010) - მესაკუთრე გურამ ჭოხონელიძე.

ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, კომერციული ფართი N5-2, სართული 2, ბლოკი 5, ს/კ 01.10.17.002.006.05.05.002 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458687, დამოწმების თარიღი 28/01/2010) - მესაკუთრე ი.მ.ა „აქსისი პალასი-2“.

ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, კომერციული ფართი N6-3, სართული 2, ბლოკი 6, ს/კ 01.10.17.002.006.04.06.003 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458854, დამოწმების თარიღი 28/01/2010) - მესაკუთრე მაია დილევსკაია.

ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, კომერციული ფართი N6-2, სართული 2, ბლოკი 6, ს/კ 01.10.17.002.006.04.06.002 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458911, დამოწმების თარიღი 28/01/2010) - მესაკუთრე გურამ ჭოხონელიძე.

ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, კომერციული ფართი N4-3, სართული 2, ბლოკი 4, ს/კ 01.10.17.002.006.06.04.003 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458934, დამოწმების თარიღი 28/01/2010) - მესაკუთრე ი.მ.ა „აქსისი პალასი-2“.

ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, სართული 3, ბინა N7-01, ბლოკი 4, ს/კ 01.10.17.002.006.06.07.001 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458796, დამოწმების თარიღი 28/01/2010) - მესაკუთრე ი.მ.ა „აქსის პალასი-2“.

ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, კომერციული ფართი N4-6, სართული 3, ბლოკი 4, ს/კ 01.10.17.002.006.06.04.006 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458796, დამოწმების თარიღი 28/01/2010) - მესაკუთრე გურამ ჭოხონელიძე.

ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, კომერციული ფართი N4-2, სართული 2, ბლოკი 4, ს/კ 01.10.17.002.006.06.04.002 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458694, დამოწმების თარიღი 28/01/2010) - მესაკუთრე სტეფანე განჯელაშვილი.

ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, სართული 3, ბინა N10-02, ბლოკი 6, ს/კ 01.10.17.002.006.04.10.002 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458675, დამოწმების თარიღი 28/01/2010) - მესაკუთრე ი.მ.ა „აქსის პალასი-2“.

ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, სართული 3, ოფისი N10-01, ბლოკი 6, ს/კ 01.10.17.002.006.04.04.001 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458675, დამოწმების თარიღი 28/01/2010) - მესაკუთრე ი.მ.ა „აქსის პალასი-2“.

ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, სართული 3, ბინა N9-02, ბლოკი 6, ს/კ 01.10.17.002.006.04.09.002 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458675, დამოწმების თარიღი 28/01/2010) - მესაკუთრე ი.მ.ა „აქსის პალასი-2“.

ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, სართული 3, ბინა N9-03, ბლოკი 6, ს/კ 01.10.17.002.006.04.09.003 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458675, დამოწმების თარიღი 28/01/2010) - მესაკუთრე ი.მ.ა „აქსის პალასი-2“.

ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, სართული 3, ბინა N10-03, ბლოკი 6, ს/კ 01.10.17.002.006.04.10.003 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458839, დამოწმების თარიღი 28/01/2010) - მესაკუთრე ი.მ.ა „აქსის პალასი-2“.

ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, სართული 3, ბინა N10-04, ბლოკი 6, ს/კ 01.10.17.002.006.04.10.004 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458839, დამოწმების თარიღი 28/01/2010) - მესაკუთრე ი.მ.ა „აქსის პალასი-2“.

ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, კომერციული ფართი N4-1, სართული 2, ბლოკი 4, ს/კ 01.10.17.002.006.06.04.001 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458625, დამოწმების თარიღი 28/01/2010) - მესაკუთრე სტეფანე განჯელაშვილი.

იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფის საგნების რეალიზაციის გზით სრულად არ დაკმაყოფილდება სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ მოთხოვნა, აღსრულება მიექცეს შპს „აქსისის“ კუთვნილ სხვა ქონებაზე.

2. საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების 26-ე მუხლის თანახმად მოპასუხეს უფლება აქვს 7 დღის ვადაში საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედ არბიტრაჟში წარმოადგინოთ წერილობითი შესაგებელი საარბიტრაჟო სარჩელში მითითებულ ფაქტებსა და გარემოებებზე ან შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელი, რომლებშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) მხარეთა სახელწოდებები;

ბ) მისამართები (ადგილსამყოფელი);

გ) გარემოებები და მტკიცებულებები, რითაც შეიძლება დადასტურდეს შესაგებელში (შეგებებულ სარჩელში) მითითებული მოთხოვნები და გარემოებები;

დ) შესაგებელზე (შეგებებულ სარჩელზე) თანდართული საბუთების ნუსხა.

3. ი.მ.ა „აქსისი პალასი 2“-ს, გედეონ სამარგულიანს, ევგენია მალინოვას და ელენა სულაძეს ეცნობოთ, რომ საქმის

განხილვა დანიშნულია 2020 წლის 6 მარტს 17:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჟიული შარტავას ქ. 40, სართული 11.

4. ი.მ.ა „აქსისი პალასი 2“-ს, გედეონ სამარგულიანს, ევგენია მალინოვას და ელენა სულაძეს განემარტოთ, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად თუ მხარე არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება საქმის განხილვაზე ან არ წარმოადგენს თავის პოზიციასა და მტკიცებულებებს, არბიტრაჟს შეუძლია განაგრძოს საქმის განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-16 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო ამ მუხლით დადგენილი წესით და არბიტრაჟისათვის არ უცნობებია გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ, ასევე არ წარუდგენია თავისი პოზიცია და მტკიცებულებები, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მეორე მხარე არ მოითხოვს საქმის განხილვის გადადებას.

5. ი.მ.ა „აქსისი პალასი 2“-ს, გედეონ სამარგულიანს, ევგენია მალინოვას და ელენა სულაძეს ეცნობოთ, რომ საქმეს განიხილავს საარბიტრაჟო კოლეგია მამუკა ღვინიაშვილის, თეა ხამხაძის და გიორგი სულაკაძის შემადგენლობით. მათვე განემარტოთ, რომ საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-4 მუხლის თანახმად უფლება აქვთ გზავნილის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში წერილობით მომართონ არბიტრაჟს საარბიტრაჟო კოლეგიის (კოლეგიის რომელიმე წევრის) აცილების შესახებ, სადაც უნდა მიეთითოს აცილების საფუძველი და მოტივები.

6. ი.მ.ა „აქსისი პალასი 2“-ს, გედეონ სამარგულიანს, ევგენია მალინოვას და ელენა სულაძეს განემარტოთ, რომ სარჩელი და თანდართული დოკუმენტები, ასევე უწყება საქმის განხილვის შესახებ, მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. ი.მ.ა „აქსისი პალასი 2“-ს, გედეონ სამარგულიანს, ევგენია მალინოვას და ელენა სულაძეს განემარტოთ, რომ საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულება საქმის წარმოების წესების შესახებ გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე: https://matsne.gov.ge/document/view/1179539?publication=0

8. წინამდებარე დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“.

9. დადგენილება ძალაში შედის გამოტანის მომენტიდან.

არბიტრი

მამუკა ღვინიაშვილი

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟი

დადგენილება

არბიტრაჟის სახელით საჯარო შეტყობინების შესახებ

საქმე №01-29/2020

ქ. თბილისი **12 თებერვალი, 2020 წელი**

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარემ მამუკა ღვინიაშვილმა, მხარეთა მონაწილეობის გარეშე განვიხილე სარჩელის საჯაროდ გავრცელების საკითხი.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარემ მამუკა ღვინიაშვილმა, მხარეთა მონაწილეობის გარეშე განვიხილე სარჩელის საჯაროდ გავრცელების საკითხი.

გამოვარკვიე:

საქართველოს საარბიტრაჟო პალატას საარბიტრაჟო სარჩელით მომართა ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიამ“ შპს „იპოდრომ პალასის“, ი.მ.ა „აქსისი პალასის“, ი.მ.ა „აქსისი პალასი-2“-ის, მაია დილევსკაიას, თინათინ სადრაძის, მერი ბუზალაძის, ავთანდილ გამყრელიძის, სტეფანე განჯელაშვილის, ნინო გურგენიძის, ვასილ ებრალიძის, ეკატერინე სადრაძის, გურამ ჭოხონელიძის და მარინე ჩიტიაშვილის მიმართ, თანხის დაკისრების და იპოთეკით დატვირთული ქონების აუქციონზე რეალიზაციის შესახებ.

სარჩელისა და მასზე თანდართული მასალების ასლები, ასევე არბიტრაჟის დებულება, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულებით დადგენილი წესების შესაბამისად, არბიტრაჟისათვის ცნობილ მისამართებზე გაეგზავნათ მოპასუხეებს. ჩაბარების არაერთი მცდელობის მიუხედავად შპს „იპოდრომ პალასს“, ი.მ.ა „აქსისი პალასი 2“-ს და მის თავმჯდომარეს, ი.მ.ა „აქსისი პალასს“ და მის თავმჯდომარეს და გურამ ჭოხონელიძეს საქმის მასალები ვერ ჩაბარდათ.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-17 მუხლის თანახმად თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის არბიტრაჟის შეტყობინების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება და არბიტრაჟის მიერ ამ დებულების მე-16 მუხლით გათვალისწინებული შეტყობინების მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, არბიტრაჟს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება არბიტრაჟის შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში არბიტრაჟის შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

არბიტრაჟს მიიჩნია, რომ ვინაიდან მოპასუხეებს შპს „იპოდრომ პალასს“, ი.მ.ა „აქსისი პალასი 2“-ს, ი.მ.ა „აქსისი პალასს“ და გურამ ჭოხონელიძეს სარჩელში მითითებულ მისამართებზე გაგზავნილი სარჩელი და თანდართული მასალები ვერ ჩაბარდათ და ამასთან მათი სხვა ადგილსამყოფელის შესახებ არბიტრაჟისათვის უცნობია, მათ სარჩელის და თანდართული მასალების თაობაზე უნდა ეცნობოთ საჯარო შეტყობინებით.

სარეზოლუციო ნაწილი:

ვიხელმძღვანელე საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-2, მე-17 მუხლებით და

დავადგინე:

1. მოპასუხეებს შპს „იპოდრომ პალასს“, ი.მ.ა „აქსისი პალასი 2“-ს, ი.მ.ა „აქსისი პალასს“ და გურამ ჭოხონელიძეს საქართველოს საარბიტრაჟო პალატა წინამდებარე პუბლიკაციით ატყობინებს შემდეგს:

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის წარმოებაშია ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ საარბიტრაჟო სარჩელი შპს „იპოდრომ პალასის“, ი.მ.ა „აქსისი პალასის“, ი.მ.ა „აქსისი პალასი-2“-ის, მაია დილევსკაიას, თინათინ სადრაძის, მერი ბუზალაძის, ავთანდილ გამყრელიძის, სტეფანე განჯელაშვილის, ნინო გურგენიძის, ვასილ ებრალიძის, ეკატერინე სადრაძის, გურამ ჭოხონელიძის და მარინე ჩიტიაშვილის მიმართ, თანხის დაკისრების და იპოთეკით დატვირთული ქონების აუქციონზე რეალიზაციის შესახებ.

<u>სასარჩელო მოთხოვნა:</u>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის საფუძველზე შპს „იპოდრომ პალასს“ სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ სასარგებლოდ დაეკისროს საკრედიტო დავალიანების 4204640.18 აშშ დოლარის, გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებელის 30000 ლარის და საჯარო რეესტრის ამონაწერების განახლების საფასურის 88 ლარის გადახდა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 301-ე მუხლის თანახმად დადგინდეს იპოთეკით დატვირთული, ქვემოთ მითითებული, უძრავი ნივთების რეალიზაცია იძულებით აუქციონზე:

ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N12, არასაცხოვრებელი ფართი N2-27, სართული 2, ს/კ 01.10.17.002.022.15ბ.02.027 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010448599, დამოწმების თარიღი 20/01/2010), მესაკუთრე ი.მ.ა „აქსისი პალასი“.

ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N12, არასაცხოვრებელია ფართი N1-16, სართული 1, ს/კ 01.10.17.002.022.15ბ.01.016 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010448597, დამოწმების თარიღი 20/01/2010), მესაკუთრე ინდ. მენაშენეთა ამხანაგობა „აქსისი პალასი“.

